წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ხუთშაბათი, 22 ოქტომბერი 1915 წ. № 123

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакцi „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი [illegible] გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ოქტომბრიდან წლის დამლევამდე ღირს 2 მ.—70 კ. მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

„ხარფუხის კლუბი“
საზამთრო სადგომი მიხეილის პროსპექტი № 129—131
პროგრამმა 22—25 ოქტომბრამდე.
ხუთშაბათს 22 ოქტომბერს მუსიკალური სალამო ბ. პრესმანის ლოტბარობით.
პარასკევს 23 ოქტომბერს საზანდარი.
შაბათს, 24 ოქტომბერს კონცერტი.
კვირას 25 ოქტომბერს სიმებიანი ორკესტრი, ბ. პრესმანის ლოტბარობით.
სინემატოგრაფის დასაწყისი სალამოს 8 საათზე. წარმოდგენების $8^1/_2$ ს.
სტუმრები კლუბში შესასვლელად ჩვეულებრივ ფასს იხდიან.

სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოეპოვება.
ვკისრულობთ
გადავაკეთოთ, გავწმინდოთ და ახლათ შევღებოთ საქალებო და სავაჟო ქუდები
სპეციალურად ვწმენდავთ სავაჟო „კოტელოკებს“ და „ცილინდრებს“.
აგრეთვე ვწმენდავთ პლიუშს, ხავერდს, და ვაკეთებთ გინგლს.
ვახუჭუჭებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.
ქუდების სახელოსნო დ. გ. გვახარიასი
გოლოვინის პროსპ. № 39.
სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოეპოვება.

პროვინციელ აგენტების
საყურადღებოდ
აცხადებს გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია, რომ, პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო“ გადაეცა კანტორა „განათლებას“. თუ რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირია ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას“.
„საქართველოს“ რედაქცია.

ამერიკული ვაზი
თ. დ. ჩოლოყაშვილის ჭიაურის მამულში, კახეთში, სიღნაღის მაზრაში, გაშენებულ სანერგეში იყიდება სხვა და სხვა ჯიშის ამერიკული ვაზის რქა და სამყნელად მომზადებული იმავე ვაზის ფესვიანი ძირები; აქვე იყიდება გარეული კომშის ნერგი სამყნობად.
შეკვეთა და პირობების გაგება შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ, улица Бѣлинскаго, № 2, Ираклію Тазіеву. 10—8

ახლად დაარსებული საამხანაგო
ფქვილის საწყობი „რაჭა“
ჰყიდის მეპურეებზე და კერძო პირებზე ფქვილს ხელმისაწვდომ ფასებში. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 3. —24

გადაწერას საწერ მანქანის საშვალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს
ი. თ. გვათუას კანტორა
ვერის დაღმართი № 1
ტელეფონი 17—05

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე სალამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმმა
მამულაიშვილი
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ძ. გორში
ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ სალამოს 5—6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა, მიხეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. სალამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის
ქარხნები
მ. ე. ლაღიძე და ამხ.
თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.
ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!
ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: სვან ყოველთვის მხოლოდ და მარტო მიტროფანე ლაღიძის და ამხანაგობის ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის სამკურნალო წყალი. მხოლოდ ლაღიძის წყალი მზადდება უმაღლესი ღირსების ბუნებრივი მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი ლაღიძის წყალი, გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

საჭიროა
მოსამსახურე, ქალი თუ ვაჟი სულ ერთია
ადრესი: გაგება შეიძლება რედაქციის კანტორაში ორიდან სამს საათამდე.

იყიდება
ხელმისაწვდენ ფასებში
ორი საწერი მაგიდა
ელისაბედის ქუჩა № 65. ბინა გძელიშვილისა.

საჭიროა
რემენგტონზე მომუშავე ქალი
მიჰმართეთ ელისაბედის ქუჩა № 65 ოთხიდან ხუთს საათამდე. ბინა № 1

იყიდება პალტო
საზამთრო, შავი, 65 მანეთად. ელისაბედის ქუჩა № 83, ბინა 1. ნახვა შეიძლება დილის 9 საათიდან 12 საათამდე. 1—1

## ქართული ენის გაუქმება!

დიდი ენერგია დაიხარჯა თავის დროზედ რომ თბილისის საოსტატო ინსტიტუტში ქართული ენის სწავლება შემოეღოთ. ბოლოს და ბოლოს დიდი ვაივაგლახის შემდეგ, მიზანს მივაღწიეთ: ქართულ ენას უმადური ადგილი დაეთმო, როგორც ეს ჩვეულებრივ მიღებულია ხოლმე,—კვირაში ორი გაკვეთილი, ყველა სხვა გაკვეთილის ბოლოში. მთელი ცხრა წელიწადია, ავად თუ კარგად, ქართულ ენას ასწავლიდენ ხსენებულ ინსტიტუტში. დღეს ამ ინსტიტუტის დირექტორს ბ-ნ მუჩკაპსკის, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, განუზრახავს ქართული ენის გაუქმება. ამ „რეფორმას“ ბ-ნი მუჩკაპსკი უსალსრობით ასაბუთებს. რაღაც არ გვჯერა. ისეთ სასწავლებელში, სადაც ათი ათასობით ფული იხარჯება, იქ აბა რა მოსატანია კვირაში ორი გაკვეთილის გასამრჯელო. ბ-ნი მუჩკაპსკის მოუსვენრობა და იერიში ქართული ენის წინააღმდეგ რუს მოხელეების ძველი აქტივიზმის გაღვიძებაა ამ განახლების დროს. და ასეთი სრული შეუხამებლობა ბ-ნ მუჩკაპსკის განზრახვასა და დღევანდელ მომენტის ხასიათ შორის,— განსაკუთრებულ შეურაცყოფის გრძნობას გამოიწვევს ქართველ საზოგადოებაში. რას უნდა მიეწეროს დღევანდელ დღეს ასეთი მცირედი უფლების არ შეწყნარება, ასეთი მცირე რამ პატივის აყრა ქართულ ენისთვის· რისი სიმპტომია ესა?

## რა მოხდა?

ვისაც კი პოლიტიკა აინტერესებს, უეჭველია, განცვიფრებით შეჰხედავდა დასავლეთ სახელმწიფოთა თვალ ინგლისსა და საფრანგეთში სამინისტროს უეცრივ შეცვლას. თქმა არ უნდა, სხვა დროს და სხვა გარემოებაში ამის შესახებ ბევრი მელანი დაიღვრებოდა, მაგრამ დღეს ასეთი ამბები თითქმის შეუმჩნევლადვე იკარგება.

საინტერესოა, რომ ორთავე ქვეყანაში თითქმის ერთსა და იმავე დროს მოხდა. მაგრამ არა ნაკლებ საგულისხმიეროა, რომ ასეთი ძირითადი ცვლილება, ისიც ასეთს სერიოზულ მომენტში, დაუკავშირდა ბალკანეთში ბრძოლის ქარ-ცეცხლის გაშმაგებას. რა მოხდა? აიხსნება ეს ფრანგთა მჩქეფრი და მუდამ მებრძოლ დაუცხრომელ ტემპერამენტით, თუ ინგლისის მუდამ ხალხის ცივი და დარბაისლური თვისებით?

საქმე ის არის, რომ საფრანგეთისა და ინგლისის ხალხი დღიდან ომის გამოცხადებისა უსაზღვრო ნდობით იყო აღჭურვილი. აქ სწამდათ, რომ მათი მხედართმთავრები ყოველისფერს მოაწესრიგებდნენ, რომ გამარჯვება დაეგვირგვინებინათ, სწამდათ თავიანთ დიპლომატთა უნარისა და საქმიანობის სიმახვილე. მუშებმა, ხალხმა, ამ ნდობას აუთრთოლებლივ ხელი მოაწერეს. ყოველ დღე თავს ინუგეშებდნენ, ყოველ დღე აღთქმის ახდენის დაგვიანება მათ მოუთმენლობის ფიალას ავსებდა, დიამეტრულად საწინააღმდეგო ამბები გულს ბოღმით უვსებდათ. რაშია საქმე? რას აკეთებს ჩვენი მხედრობა? ან რას საქმიანობენ დიპლომატები? კითხულობდნენ, მაგრამ კითხვას გულში იკლავდნენ, არ აქვეყნებდნენ. სულ იმედები, იმედები და ილიუზიები. მაგრამ აი, მიდის დრო, თავდება ეპოპეა ომის პირველი პერიოდისა დ რეზულტატად მოკავშირეთა დამარცხებას ვხედავთ, გავიდა მეორე ხანა რუსეთის განცდისა, როდესაც ომის ღმერთმა გერმანეთიდან სულ რაღაც ორიოდ საათში ორასი ათასი ცეცხლის მფრქვეველი ვეშაპები მოუვლინა. უზომო ტკივილები იგრძნეს ყველგან. მაგრამ აქაც იმედებმა იჩინა თავი. პირველი საფრანგეთი და ინგლისი ამშვიდებს ხალხს: მტრის გამარჯვება ეს მისი ორგანიზაციის გამარჯვებააო. „თუ ჩვენ გვექნება ასეთი მტკიცე ორგანიზაციები, —ვკითხულობთ „Revue des deut mondes“-ში,—თუ ჩვენც მოვამზადებთ ამდენსავე ყუმბარა-ზარბაზნებს, მაშინ გერმანთა გარეკვა დ დამარცხება სულ ადვილი საქმე იქნება და ომის ბოლოც მოახლოვებული იქნებაო“. და აი, შეუდგნენ ამის გარშემო კამათს და მუშაობას. ხალხიც დაწყნარდა. იმედებმა მიაყუჩა მათი სულის გმინვა და იჭვნეულობის ქარიშხალი.

მაგრამ აჰა, დაიწყო ომის მესამე პერიოდი. ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე იგრიალა ავსტრო-გერმანთა ზარბაზნებმა და ბულგარეთმაც მახვილი იშიშვლა. გამოჩნდა, რომ მთელი დასამშვიდებელი რეცეპტები მხოლოდ სიტყვები ყოფილა. ბულგარეთის გამოსვლა გერმანთა სასარგებლოდ ახალი მეხი იყო. აქ იფეთქა ფრანგთა მოუთმენლობამ: „როგორ, რას აკეთებენ ჩვენი დიპლომატები?—ვკითხულობთ „Temps“-ის ფურცლებზე. აგერ ორ თვეზე მეტია, რაც ავსტრო-გერმანელთა პრესა აიმედებდა ხალხს, რომ ბულგარეთის დახმარებით მალე სტამბოლისკენ გზას გავიკაფავთო. ეს გეგმა, რაც ჩვენ განუხორციელებლად მიგვაჩნდა და საზღაპროდ, სავსებით სრულდება. გერმანთა გალაშქრება სერბეთისკენ ეს ტრაბახობა კი არ იყო, არამედ ერთი თვის წინადვე უკვე ყველა დარწმუნებული იყო, რომ ამ ლაშქრობას მტკიცე ნიადაგი ჰქონდა. ჩვენ თვალს ვიხუჭავდით მაშინ, როდესაც ბულგარეთი ჩვენს საწინააღმდეგოდ მახვილს ლესავდაო“. ასე სჩივის პარიზის ეს ერთი გავლენიანი გაზეთთაგანი, ასევე სჩივიან სხვებიც. ხალხში გაისმა დრტვინვა. ამ ამბავს მოჰყვა დელკასეს გადადგომა. პრესა დაჟინებით მოითხოვს ვივიანის კაბინეთის დახურვას. სასოების თვალი ახლა ბრიანს მიაპყრეს, ბრიანს, რომელმაც საყოველთაო ნდობა და სიყვარული დაიმსახურა საფრანგეთში.

რამდენად კეთილ გონიერი იყო ასეთს მომენტში ხალხის ასეთი დაჟინება, როდესაც, ერთი ანდაზისა არ იყოს, წყალში შესულ ეტლში ცხენებს აღარა სცვლიანო,—ამ ჟამად ამ საკითხის გარკვევა არ გვაინტერესებს. ვიტყვით მხოლოდ, რომ ფრანგის გულგატეხილი ხალხი ამით ერთგვარ ბოღმას ჰყრილობდა, სამინისტროს უქმ მოლაყბეთა საკრებულო უწოდა. „ჩვენს პარლამენტში,— ვკითხულობთ იმავე „Revue des deut mondes“-ში უფრო მეტს ლაყბობენ და საქმით კი ნაკლებს აკეთებენ. კამათი და ლაყბობა ზარბაზანთა გრიალის დროს უქმი და უნაყოფოა, საჭიროა საქმიანობაო!“ ასე მსჯელობდნენ საფრანგეთის საუკეთესო მამულიშვილნი. ასეთ გულისწყრომას აცხადებდნენ და ერთის შეხედვით არც უსაბუთოდ. საბერძნეთში ვენიზელოსი დამარცხდა, აქ დელკასე გადადგა, იქ ბულგარეთმა ამათ საწინააღმდეგოდ გაილაშქრა... ყოველგან მარცხი... ხსნა ახლა სამინისტროს გადაყენებაში დაინახეს, რაიც უკვე შესრულდა კიდეც.

ახლა საკითხი დაიბადა, თუ რამდენად გამოხატულიყო მათი საქმიანობა. ბალკანეთში გერმანეთის გამარჯვება თითქმის ომის დასასრულის საკითხი იქნება. ამიტომ, პირველი საკითხი ის იყო, თუ რა ეღონათ, გაეგზავნათ თუ არა ჯარები სერბეთის დასაცველად. ამის შესახებ 30 ენკენისთვეს შეიკრიბა ფრანგთა პალატა. მოითხოვდნენ დახურულს კრებას, რათა ყოველი სიმართლე გამოაშკარავებულიყო. მართალია, ეს მოთხოვნილება არ იქნა დაკმაყოფილებული, მაგრამ პალატამ მაინც მსჯელობა იქონია ჯარების გაგზავნის შესახებ. გადასწყვიტა მცირეოდენი ხმის წინააღმდეგობით, საჭიროა ჯარების მალე მიშველებაო, თუმცა პრესაში ამის შესახებ მკაცრმა კრიტიკამ იფეთქა. ამის დასამტკიცებლად საკმარისია გავიხსენოთ ჰრვე, რომელიც სახიფათოდ სთვლიდა საფრანგეთის ფრონტის შესუსტებას და ბალკანეთშიც გამარჯვებას, ცოტა არ იყოს, პესიმისტურად უყურებდა.

ანალოგიური ამბები მოხდა ინგლისშიაც. არ განვაგრძელებთ. გავიხსენებთ მხოლოდ ლორდ ლენსდოუნის განმარტებას სალონიკის ექსპედიციის შესახებ. თუ რომ სალონიკში საგრძნობი ძალებისთვის თავი მოგვეყარა, მაშინ საბერძნეთიც ჩვენთან ერთად იომებდა. „როდესაც ბულგარებთან ვაჭრობდით და იგი არ გვეთანხმებოდა, ჩვენ ვცდილობდით, შეგვერცხვინა. ზნეობრივ ნიადაგზე ნოტაციებს ვუკითხავდით, მაშინ როდესაც პირდაპირ მოქმედება იყო საჭირო, ძალები დაგვეყენებინა თავზე და „ჰო“ და „არაზე“ ისე მოგვეწერინებინა ხელიო„. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს მარტო ლორდის სიტყვები არ არის. ესევე ჰფიქრობს მთელი ინგლისი. ეს ცივი და სკეპტიკი ხალხი ყალხზე შედგა, როდესაც ინგლისის დიპლომატთა წინადადებას კიპროსის დათმობის შესახებ მეფე კონსტანტინე ირონიით შეეგება: „ვწუხვარ, რომ დაგვიანდით!“ არა ნაკლებ აცეცხლებს, რომ რუმინეთის მეფე მოკავშირეთა სასარგებლოდ გამართულ მიტინგის რეზოლიუციას ცივად შეჰხედავს. ეს ერთგვარი ნაღმის აფეთქება იყო ინგლისელთა შორის. როგორ, ყოველგან მარცხი? რას აკეთებს ჩვენი დიპლომატია? სინამდვილე, სინამდვილე!..

და სინამდვილე ახალ ჯართა შევსებაში დაინახეს. ლორდ კიტჩენერის განცხადებით გამოდგა, რომ უკანასკნელ ბრძოლის ხანს ინგლისის ჯართა შესავსებად საჭიროა კვირაში 35 ათასი კაცის მოკრება. მუშათა კომიტეტები შეჰპირდნენ კვირაში 30 ათასი მოხალისის შოვნას. შეასრულებენ ამ სიტყვას? ან საკმარისი იქნება ყველა ეს ძლიერი მტრის დასამარცხებლად? ან შესძლებენ თუ არა ასეთი კომიტეტები მუდამ მოხალისეთა შეკრებას? და ამ კითხვათა ჯამს ლორდებმა სხვა და სხვა პასუხი გასცეს. გამოვიდოდნენ კონსკრიპციის მომხრე მინისტრები. ამან დიდი აღელვება გამოიწვია. როგორ, ინგლისი და კონსკრიპცია ეს ხომ ორი შეურიგებელი ცნებაა! იბადება ერთგვარი პოლიტიკური კოშმარი. საჭიროა მისი გაბნევა. ეს კი შეიძლება კაბინეთის განახლებითაო.

ამნაირად, ბალკანეთის კრიზისი, საზოგადო მდგომარეობის გამოურკვევლობა, მტრის მძვინვარება, საბერძნეთის თავხედობა და რუმინეთის ორჭოფი მდგომარეობა, დიპლომატთა ყოველდღიური მარცხი,—აი ყველა ის, რამაც ასე მოულოდნელი ცვლილებანი გვაჩვენა დასავლეთ ევროპაში, აი, რამ აიძულა დიდ სახელმწიფოთა სამინისტროების კრიზისი! შოვნა მომქმედი დიპლომატიისა, ლაყბობის გაუქმება ზარბაზანთა გრიალის დროს და საქმიანობის შეძლება,—აი რას ითხოვს ხალხი, აი რას იმედოვნებს ახალი მინისტრების არჩევით აი რის დანახვას იმედოვნებენ ამ ცვლილებით ევროპის ხალხი.

# ომის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### გერმანეთის დიპლომატია.

გერმანეთის დიპლომატია მთელს ღონეს ხმარობს რათა რუმინეთი და საბერძნეთი გამოიყვანოს ბრძოლის ასპარეზზე, რა თქმა უნდა, მოკავშირეთა საწინააღმდეგოდ.

### მოკავშირეთა რიცხვი ბალკანეთში.

პეტროგრადის სამხედრო ავტორიტეტები ჰფიქრობენ, ამ ჟამად ბალკანეთში ფრანგებსა და ინგლისელებს 150 ათასი ჯარისკაცი ეყოლებათო.

### გერმანელები კრაპუევთან.

გერმანელებმა კრაპუევს მიაღწიეს. ბერლინში ზეიმობენ. ბულგარები გათამამებით იბრძვიან. მათ ბლომად ჰქონიათ გერმანელთაგან მიწოდებული ასაფეთქებელი და ცეცხლის მომდები ყუმბარები და მახრჩობელა ბოლი.

### ავსტრიელები მილანოვაცთან.

ავსტრიელებმა სერბებს მილანოვიცის ხაზზე დაახევინეს. მთავარი შტაბი ქებით იხსენიებს ქვეშის არმიის სიმტკიცეს და თავგანწირულებით ბრძოლას.

### რუმინეთის მეფე

ბუქარესტიდან იუწყებიან, რუმინეთის მეფემ მიიღო ოპოზიციის დეპუტაცია და ასე მოახსენა ფილიპე სკოს: გერმანელები ყოველგან იმარჯვებენ და მალე მათს მხარეზე იქნება გამარჯვების უდიდესი ნაწილიო.

### სერბეთის კრიტიკული მდგომარეობა

მთელი ჩრდილოეთი სერბეთი ავს[illegible] რო-გერმანელთა ხელშია. დუნაიზე ავს[illegible] ტრო-ბულგართა შეერთება ფაქტი[illegible] დრინის ოპერაცია მათდა საკეთილო[illegible] ვითარდება. დრინა სერბეთის გული[illegible] მისი მოვლით სერბეთის წინააღმდ[illegible] ბასაც ბოლო მოეღება. მათი ბრძ[illegible] ლიკვიდაცია აუცილებელია.

### სტრემიცას დაცემა.

ამბობენ, ფრანგებმა სტრემიცა აიღ[illegible] სო. ბულგართა მესამე არმია ნევროკ[illegible] პიდან სტრემიცას დასაცველად გაემა[illegible] თა.

### ჟოფრი ლონდონში.

ჟოფრი ლონდონს ეწვია სხვა და სხ[illegible] ხმებთან ერთად იმასაც ამბობენ, [illegible] თომც აქ მოლაპარაკება ჰქონდა მას [illegible] ზოგადო იერიშის გეგმის გამოსამუშა[illegible] ბლადაო.

### ქალი დიპლომატი.

სერ გრეიმ ქრისტიანიაში ინგლი[illegible] მისიის სეკრეტრად დაინიშნა. ეს პირ[illegible] ლი შემთხვევაა მსოფლიო ისტორია[illegible] რომ ქალს სადიპლომატო პოსტი დ[illegible] ჭიროს.

### მღელვარება რუმინეთში.

რუმინეთი ღელავს. ელიან კაბინე[illegible] შეცვლას. მრავალ მოღვაწეთა შორ[illegible] გაცხარებული მოლაპარაკებაა. ხმებ[illegible]

პორტფელის აღება მისთავაზეს გერმანოფილს ფერეკიდს...

**ინგლისის იმედები.**

„Dailu Chronikle“ ამბობს: „ბალკანეთზე საქმე მეტად ცუდად მიდის, ჩვენ თვალს არ ვიხუჭავთ, რომ დიდი შეცდომები მოგვივიდა. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ომის ბედი ბალკანეთზე კი არა, არამედ გადასწყდება იქ, სადაც ჩვენ მოკავშირეებს უმჯობესად წაგვივა საქმე. ნელ-ნელ ჩვენი ჯარები იზრდება, სასროლ მასალასაც ვაგროვებთ და მალე ბრძოლის ინიციატივასაც ჩავიგდებთ ხელში.

**საალყო წესები საბერძნეთში.**

საბერძნეთში საალყო წესები შემოუღიათ. ამბობენ, ბულგარეთმა და საბერძნეთმა საიდუმლო ხელშეკრულობა დასდესო. ამბობენ იმასაც, რომ მალე სამინისტროს კრიზისი მოხდებაო.

**გერმანული მეზღვაურები სერბეთში.**

ფელდმარშალ მაკენზენის მთავარი ბინიდან იტყობინებიან, რომ სერბეთის ფრონტზე გერმანელ ჯართა შორის მეზღვაურებიც მოქმედებენო. ესენი ბელგიიდან გადმოუყვანიათ. მათ დიდი მონაწილეობა მიუღიათ ორშოვთან დუნაიზე გადასასვლელად. ერთი რაზმი მაკენზენს ნაღმების საჭერად დაენიშნა.

**სომხეთის ბედი ოსმალეთში.**

როგორც ხმები დადის, ფრანც იოსებს შეუწყნარებია სომეხ კათოლიკეთა მუდარა და უთხოვნია ოსმალეთის მთავრობისათვის, ნუ სდევნით ამათაო—თალათ ბეისა და დიდ ვეზირს უპასუხნია: მთელი სომხობა, განურჩევლად სარწმუნოებისა, ოსმალეთის საწინააღმდეგოდ შეთქმულაო. იმპერატორის თხოვნა იმით დააკმაყოფილეს, რომ ვეცდებით შესაფერისი ზომები მივიღოთ და სომეხი კათოლიკები მაინც ვიხსნათ დევნისაგანაო.

**ერთი მილიარდი ოქრო.**

საფრანგეთის ბანკში 115 დღის განმავლობაში ერთი მილიარდი ოქრო შემოსულა.

**ერთი ნაბიჯით განსაცდელთან.**

მეფე გიორგისა და პრეზიდენტ პუანკარეს შეხვედრა მოხდა ბრძოლის ველზე. ამ დროს 200 მეტრის მანძილზე 150 ყუმბარა აფეთქდა, მაგრამ მათ არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ ამ გარემოებისთვის.

## უკანასკნელი ფოსტა

**სესხის საქმე.**

ფინანსთა მინისტრი ბარკი შესაძლებლად სთვლის 600 მილიონიან შინაურ სესხის მიღებას.

**იერიშების გაცხოველება.**

„რუს. სლოვ.“ ტელეგრაფით ატყობინებენ, რომ ავსტრიელებს მაშველი ძალები მოუვიდათ და მთელს სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე მოქმედება გააძლიერესო.

**ჟოფრის საქმიანობა.**

„ტანი“ და „მატენი“ იუწყება, რომ ჟოფრმა ლონდონში ბალკანეთის საკითხი მოაწესრიგაო.

**პოლონელი საადმინისტრაციო დაწესებულებაში.**

ვარშავის საგუბერნატოროში ადმინისტრაციის უფროსად დანიშნეს პოლონელი—აზემბოვსკი.

**ზავისთვის სამზადისი.**

ზავისთვის ნიადაგს ამზადებენ როგორც ?ვით კაიზერი, პაპი და ვილსონი, ისე ?რა ოფიციალი აგენტები.

**სროლა ეგეოსის სანაპიროებზე.**

ეგეოსის სანაპიროებზე მოკავშირენი ?არბაზნებს უშენდნენ.

**სკოპლეს დაცლა.**

ბულგარებმა დასცალეს სკოპლე.

## ბრძოლის ველზედ

ცნობები არ მოსულა იმის შესა?ებ, თუ როგორ მიმდინარეობს ?რძოლა სერბეთის ტერიტორიაზედ. ?ოტა რამ სანუგეშო ცვლილება ?ომ მომხდარიყო, დეპეშები ამ ამ?ავს უთუოდ მოიტანდა. რუსეთ-გე?მანეთი ბრძოლის პირზე აქა იქ ?ხარე, მაგრამ ადგილობრივ ხასია?ის შეტაკება ხდება. მოქმედება ?ფრო ინტენსიურია ამ გრძელ ?ონტის წვერებზე. რიგა-დვინ?ის რაიონში და გალიციაში მოქმედება განელებულია. ბაბი?ას ტბის დასავლეთით იშინთან ? უფრო ჩრდილო-დასავლეთით, ?ერთან გერმანელები საიერიშო ?ძოლას აწარმოებენ, მაგრამ მათი ?რიშები რუსებმა შეაჩერეს. რო?რც სჩანს, ფრიდრიხშტატის ზემოთ, გერმანელები მდ. დვინის მარცხენა ნაპირს დაპატრონებიან, რადგანაც აქ ისინი ცდილან ნავებით ხალხი გადაესხათ მდინარის მარჯვენა ნაპირზე. ამ ცდას უნაყოფოდ ჩაუვლია. ჩვენ არ ვიცით, სიგრძით თუ რამდენი ვერსი უჭირავს გერმანიის ჯარს დვინის მარცხენა ნაპირზე ამ რაიონში, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რაც გინდა მცირე მანძილი ეჭიროთ, გერმანელები მაინც შეეცდებიან სათანადო ძალის დაგროვებას ამ ნაპირზე, რომ როგორმე მდინარის მარჯვენა ნაპირზე გადმოვიდენ. რუსის ჯარს წინააღმდეგობის გაწევა არ უნდა გაუძნელდეს, რადგანაც ეს მდინარე დიდ ბუნებრივ საფარს წარმოადგენს მათთვის.

მეგრი.

## შტაბის დეპეშები

**კავკასიის ფრონტი**, მთელს ფრონტის გასწვრივ 18 ოქტომბერს სერიოზული ბრძოლა არ მომხდარა. მოწინავე რაზმთა შეტაკება მოხდა უმთავრესად შავი ზღვის რაიონში, მდ. არხავეს რაიონში და ჭოროხ-ოლთისის შესართავის რაიონში. ჭოროხის ხაზზე ტორტუმის ტბის ნაპირამდე და კალაჯიკის მთაში, ჰასანკალის ჩრდილო-აღმოსავლეთით, რუსის მზვერავნი კარგად მოქმედებენ. ხოროსანის რაიონში, ალაშკერტის სამხრეთით და მელიაზგერთის აღმოსავლეთით არავითარი შეტაკება არ მომხდარა. არჯიშის რაიონში, ვანის ტბის ჩრდილოეთით, შეტაკება უხდებათ ქურთებთან. ვანის რაიონში, ბაშკალში და ურმიაში მდგომარეობა უცვლელია.

**პეტროგრადი**. 20 ოქტომბ. დასავლეთი ფრონტი. 19 ოქტ. დაიწყო ბრძოლა კემმერნსთან. ბრძოლა გრძელდება. შედეგი გამოურკვეველია იშანთან გერმანელებმა ერთსა და იმავე დროს კემერნზეც მიიტანეს იერიში. ჯერ თითქოს წარმატება ეტყობოდათ და იმარჯვებდნენ კიდეც, მაგრამ რუსებმა კონტრიერიშით შეუტიეს და მდგომარეობა გამოასწორეს. ფრიდრიხშტადტის ზემოდ ადგილ-ადგილ სცადეს მდინარის გადალახვა, მაგრამ ამაოდ. დვინსკის დასავლეთით, ილენტენიტრის სამხრეთით რუსებმა წინ წაიწიეს. სოფ. ვოლკის რაიონში ღამის შეტაკების დროს რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს 170 კაცი. ასევე მარჯვედ მოიქცნენ რუსი მსროლელები, ღამით 19 ოქტ. ჩერტორისკის ჩრდილო-დასავლეთით ავსტრიელებს თხრილებში შეუცვივდნენ და ამოჰრეკეს. აქედან 421 ტყვე წამოიყვანეს. სოფ. ბუდვასთან სასტიკი ბრძოლა მოხდა. იგი ჯერაც არ გათავებულა. 18 ოქტ. ღამით ავსტრიელებმა იერიში მიიტანეს სოფ. კომაროვის რაიონში, მაგრამ რუსებმა შეაჩერეს. ერთ ჭაობთან ავსტრიელთა რაზმი მოიმწყვდიეს და სულ ერთიანად მოსპეს. ავსტრიელები ხელ ახლა იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ რო ვერას გახდნენ, ისევ უკან გაბრუნდნენ და თხრილებში ჩაიმალნენ. გალიციაში ტარნოპოლის სამხრეთ-დასავლეთით რუსის ჯარები გადავიდნენ იშკუვს ტბაზე. ღამით მეორე ნაპირას გადავიდნენ. გადასჭრეს მავთულიანი ღობე და მოულოდნელად მტრებს თხრილებში შეუცვივდნენ. ბლომად ამოჰხოცეს, 400 კაცი წამოიყვანეს ტყვედ. სტრიპზე, სოფ. სემიკოცთან, ბრძოლა გრძელდება. 19 ოქტ. რუსებმა აიღეს სოფ. ბაკოვიცე. ეხლა გამოირკვა, რომ 18—19 ოქტ. ბრძოლაში მდ. სტრიპზე წამოუყვანიათ 80 აფიცერი და 3,500 ჯარისკაცი.

## ორი პორტრეტი

რესპუბლიკანური საფრანგეთი ცელქია. მთელი წყება რევოლიუციებით და საშინელი სამოქალაქო ომით მოპოვებული უფლება ერთობ ძვირფასია ფრანგის ხალხისათვის; უბრალო ზმანებაც, რომ შეიძლება ამა-და-ამ საკითხში მთავრობა ჩემის ქეიფისაებრ არ მოიქცესო, ასეთი უბრალო მოჩვენებაც კი საკმარისია, რომ ხალხმა დაინახოს შებღალვა თვისი სუვერენობისა, და არსებობის ძარღვი გადაუჭრას საფრანგეთის მმართველ მთავრობას, თუნდაც ქვეყანას ამით საფრთხე მოელოდეს. ამის მიზეზით საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მთავრობათა დამხობა თითქმის ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც პირის დაბანა ძილის შემდეგ შინაურ ცხოვრებაში.

ხშირად სამინისტროს ჩამოგდება კერძო პიროვნების გულისთვის მოხდება და საპირადო ანგარიშით არის გამოწვეული. ეჭვი არაა, ეს მეტის-მეტი სილაღეა და ხელმარჯვეობა საუნჯის გაბნევაში. ხალხი კაპრიზიანია და მეტის სიყვარულით თავის უფლებას წარამარა ხელში ატრიალებს, ელოლიავება, ათამაშებს თავის ქეიფზე. თავისუფლება ახალი ხილია მისთვის, ეხარბება დიდათ.

საფრანგეთში ქიშპობაა ინდივიდურ თავისუფლებათა, მუდმივი მოუსვენარი ქიშპობა. აქ ანარქიული ბუნებაა, თავქეიფა; გნებავთ, უფრო შემოქმედი, მაგრამ ნაკლებ განძიანი, ნაკლებ ნაყოფიერი. არ არის შინაგანი თანამშრომლობა ამ კერძო თავისუფლებათა შორის, საფრანგეთის ცხოვრებაში არ მოსჩანს ერთი მთავარი ძარღვი, სხვა წვრილ ძარღვთაგან შემდგარი. აქ მუდამ რამოდენიმე ძარღვია, პარალელად წყობილი. არ მოსჩანს ერთი სახე, არ არის კრებულის—საფრანგეთის—ზოგადი პირსახე. აქ კერძო ფრანგისა, თუ პარტიაში თავმოყრილი ფრანგთა სიმრავლის მიხედვით უნდა შექმნა თითონ პირადი აბსტრაქტის ძალით კოლექტიური საფრანგეთის სახე.

საფრანგეთში თითქოს არ გაფაქტიურებულა ეროვნული ხასიათის და სახეობის სინტეზი. თითქოს არ დადუღებულაო კერძოობათა შემამჭიდროვებელი დუღაბი. ამიტომაც საფრანგეთში მეტი გაბნეულობაა, მეტი ფლანგვა ენერგიის და ნაკლებია დოვლათი და სიბრძნე პოლიტიკური. დარბაისლობა კოჭლობს და ტემპერამენტის დაუმჯდარობაა.

სულა სხვა დარბაისელი ინგლისი მორჭმული და გალაღებული, როგორც ქონებრივად, ისე პოლიტიკურ თავისუფლების მხრივ. ინგლისს ვერაფერი გააკვირვებს. საფრანგეთის რესპუბლიკაზე უფრო თავისუფალი კონსტიტუციური მონარქია. რამდენიმე ასი წელიწადია, რაც თავისუფლებით სარგებლობს. თავისუფლება ამშვენებს ინგლისელს, და ინგლისელიც მოწიწებით ეპყრობა მას. ხელს ათასში ერთხელ თუ შეახებს. ეკრძალება და მიტომ. თავისუფლების პატივისცემის ტრადიცია მტკიცეა ინგლისში, დროით დამშვენებული ჭაღარა შერეულია იგი. თავისუფლების პატივისცემა ბუნებაა ინგლისელისა. ამ სფეროში მას აღლო არ ღალატობს; კოლექტიურ თავისუფლების შეგნებას ინგლისელი სისხლით და ხორცით შედუღებია; ცალკე პიროვნება შინაგანი გულისხმობით ემორჩილება კრებული ერის სინდისის ბრძანებასა.

ინგლისში სუფევს ინდივიდურ თავისუფლებათა კოორდინაცია და თანამშრომლობა. და ინგლისის ხალხლის ცხოვრებაში ნიადაგ მოსჩანს ერთი მთავარი ძარღვი, რომელიც შემდგარია ცალცალკე ძარღვებიდან გამოსულ კერძო ბეწვებისაგან. ეს მთავარი ძარღვი სახეა მთელის ინგლისის, რომელსაც ატარებს ყოველი ინგლისელი კერძოდ, თუ მრავალი ინგლისელი ერთად, ეკონომიურ ინტერესისა თუ პოლიტიკურ დოქტრინის ძალით პარტიაში თავმოყრილი. ამ მთავარ ძარღვით გამოიცნობთ ყოველ ინგლისელს და მთელს ინგლისს. აქ, განხორციელებულა, გაფაქტიურებულა ეროვნული სახეობისა და ხასიათის სინტეზი.

ამიტომაც ინგლისში ფაქტიური მთავრობის დამხობა იშვიათი მოვლენაა. სწორედ, მართლაც რამე უნდა მოხდეს, დიდათ ამაღლვებელი ამბავი, დიდი სახელმწიფოებრივი შეცდომა, რომ ინგლისის მთავრობა დაემხოს. ამიტომაც ინგლისში მეტი კონსერვაციაა და მაშასადამე სიმდიდრეც პოლიტიკური ცხოვრებისა, მეტი დოვლათი და გამჭრიახობა, ამიტომაც მეტი დარბაისლობა და ტემპერამენტ დამჯდარობა.

ს. კ.

## ახალი ამბავი

✦ **კახეთის რკინის გზის გარშემო.** გუშინ, 21 ოქტომბერს, გუბერნიის თავად-აზნაურთა-მარშლის თანამდებობის აღმასრულებლის, თავ. მ. ა. სუმბათაშვილის თავმჯდომარეობით და ნ. ი. ნიკოლაძის თანადასწრებით, სხდომა ჰქონდათ თავად-აზნაურთა მარშლებს, დეპუტატებს, თავად-აზნაურთა საზოგადო კრებაზე არჩეულ საგანგებო კომისიას და კახეთის რკინის გზის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებად დასახელებულთ. სხდომის საგანს შეადგენდა კახეთის რკინის გზის საქმეების მოწესრიგება.

✦ **წირვა და პარაკლისი** გუშინ, 21 ოქტომბერს, ხელმწიფე იმპერატორს, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის, ტახტზე ასვლის დღესასწაულის გამო, ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში მწირველი იყო გორის ეპისკოპოსი ანტონი. წირვის შემდეგ სამშვიდობო პარაკლისი გადაიხადა საქართველოს ეგზარხოსმა, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა პიტირინმა, ეპისკოპოსის ლეონტისა, ეპისკოპოსის ანტონისა და სამღვდელოების თანამსახურებით. დაესწრნენ: მეფის ნაცვალი კავკასიაში, მისი უმაღლესობა ნიკოლოზ ნიკოლოზისძე, მისი უმაღლესობა პეტრე ნიკოლოზის ძე, გენერლობა, ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. მ. ა. სუმბათაშვილი, წარმომადგენელნი ქალაქისა, დაწესებულებათა და სხვ.

✦ **საწევრო გადასახადის შემცირება.** ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ 20 ოქტომბერს დაადგინა,—საწევრო გადასახადი საზოგადოების წევრთა სამი მანეთიდან შემცირდეს ერთ მანეთამდე და ეს დადგენილება წარედგინოს დასამტკიცებლად საზოგადო კრებას.

✦ **საკვების გამოგზავნა.** თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის თავმჯდომარე დ. ლუკაშვილი ჩრდილო კავკასიაში არის წასული კახეთისათვის მის მიერ ნაყიდ საკვების გამოსაგზავნად. ამ დღეებში ბ-ნი ლუკაშვილი ეკატერინოდარში დატვირთავს 45 ვაგონ ფქვილს. ვაგონების მიღების ნებართვა უკვე აღებული აქვს სამხედრო მიმოსვლათა უფროსისაგან.

✦ **ხარფუხის კლუბი.** დღეს 22 ოქტომბერს ხარფუხის საზოგადო კლუბში გაიმართება ბ. პრესმანის ხელმძღვანელობით მუსიკალური საღამო.

✦ **კრება.** დღეს უნდა შესდგეს მორიგი კრება ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი. განსახილველია საკითხი სასოფლო სამეურნეო იარაღების შეძენის შესახებ საზოგადოების საცდელ პუნქტებისათვის და საზოგადოების წევრთა წლიური კრების მოწვევა.

✦ **საბჭო.** ჭიათურის შავი ქვის საბჭო სრულიად რუსეთის საბირჟო ორგანიზაციის შემადგენლობაში შედის.

✦ **ხოლერა.** თბილისში ხოლერა თანდათან კლებულობს, ასე რომ ეს სენი ამჟამად საშიში აღარ არის. 20 ოქტომბერს მხოლოდ ერთი კაცი მიიყვანეს ქალაქის ლაზარეთში ხოლერის ნიშნებით 7 კაცი გამოეწერა ლაზარეთიდან და გუშინ, 21 ოქტომბერს, ლაზარეთში იმყოფებოდა ხოლერიანი 51 კაცი.

✦ **გადამდები სენი.** 21 ოქტომბერს ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 98, სახადიანი 55, საოფლიანი 39, ხუნაგიანი 26, მუცელაიანი 6 და ყვავილიანი 2 კაცი.

✦ **სომეხთა ენერგია.** სომეხთა საზოგადოება დიდის გულმოდგინეობით ცდილობს თავისის ტომის გადმოხვეწილთა გაჭირვებულ მდგომარეობის გაუმჯობესებას. გუშინ, 21 ოქტომბერს, სომხები ფულებს აგროვებდნენ და ერთ დღიურ გაზეთს ჰყიდდნენ გადმოხვეწილთათვის, 25 ამა თვეს საცვლებისა და ტანთსაცმელების შეგროვებას აპირებენ სომეხთა ცენტრალი კომიტეტი და საქველმოქმედო საზოგადოება.

✦ **ნაზარიანის სალონი.** ხვალ, 23 ოქტომბერს, განახლდება ტიგრან ნაზარიანის სალიტერატურო და სამხატვრო სალონი. ამ დღეებში 10 წელი უსრულდება ამ სალონს და მისი წევრები საიუბილეო დღესასწაულის გადახდას აპირებენ.

## პროვინციის ქრონიკა

**ქუთაისი**

ქუთაისის საპყრობილიდან გაანთავისუფლეს ი. ცაბაძე, რომელსაც სენაკის რესპუბლიკის გამო 20 წლის კატორღა ჰქონდა მისჯილი, განთავისუფლება მოხდა უმაღლესი მთავრობის ბრძანებით.

— გაზეთი „სამშობლო“ ეს რამდენიმე დღეა არ გამოსულა, ამ მოვლენას ტეხნიკური მიზეზებით ხსნიან.

— ხარკოვში მყოფი ქუთათური სტუდენტები დედმამას სთხოვენ შაქარ-ჩაის და სხვა უპირველეს სანოვაგის მიწოდებას.

— 18 ოქტომბერს აკურთხეს ქუთაისში ეპისკოპოსის კანცელარია.

— 14 ამ თვეს ქუთაისის საოლქო სასამართლომ გაარჩია ორი აფხაზის საყურადღებო საქმე. რომანოზ გაგულიასი და რიქვალ აკობიასი. ხსენებულ პირთ ბრალი ედებოდათ ძველი წესით (სისხლის აღების) ნიადაგზე კაცის კვლა. ბრალდებულთ იცავდა ნაფიცი ვექილი ე. გეგეჭკორი და ნაფიცი ვექილის თანაშემწე ფირცხალაიშვილი. მომჩივანის სიმსიმის დამცველად იყო ნაფიცი ვექილი გრ. ლაღიძე. სამოსამართლო პალატამ აფხაზები დამნაშავედ იცნო. აკობიას მიუსაჯა 13 წლის კატორღა, ხოლო გაგულიას 20 წლის. სიმსიმის ქვრივს მიეცემა აკობიაგაგულიას მიერ მოკლულ თავის ქმრის დასაფლავებაზე გაწეული ხარჯი (300 მანეთი).

**ჩოხატაური.**

16 ღვინობისთვეს ჩოხატაურის რაიონის კოოპერატულ საზოგადოებათა თათბირი მოხდა. თათბირის უმთავრესი მიზანი იყო უპირველეს საჭიროების სანოვაგის მოგვარება და კარს მომდგარს „შიმშილის“ საწინააღმდეგო ზომების გამოძებნა.

**სოფ. გომი (ქართლი).**

აქაურ მცხოვრებთა სანოვაგე ჩალის ფასად ხელში ჩაიგდო აქ არსებულმა „გოკიელის ფირმამ“. ეხლა ეს ფირმა სანოვაგეს სხვა და სხვა ადგილებში ჰგზავნის. არავითარი ნიხრი არ არსებობს. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს, და ფირმამაც შეიგნოს, რომ ჩვენს ქვეყანას არამცთუ სხვაგან გასაგზავნი, არამედ თავი დამშეული საჭიროებს სანოვაგეს.

**სამურზაყანო.**

საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად წელს სამურზაყანოც დიდ განსაცდელშია. ამ მხარეს რაც ადამიანის ხელმა და მკაცრმა პირობებმა ვერ ავნეს, იგი განრისხებულმა ბუნებამ შეასრულა, გასულ თვეში ადიდებულმა მდინარეებმა წაჰლეკეს სამურზაყანოს ყანები. უკიდურესობაში მყოფ ხალხმა ნათლად დაინახა, რომ თავის თავს ისევ თვით უნდა უშველოს. უპირველეს ყოვლისა ასალაგმავი თავგასული ჩარჩები, რომელნიც ისედაც ბეჩავ ხალხს ტყავს აძრობდენ.

ეს კიდეც მოახერხა აქაურმა ხალხმა. ამას წინად გახსნეს კოოპერატიული ფურნე, რომლის სამოქმედო ასპარეზი მომავალში უფრო გაფართოვდება სხვა და სხვა სანოვაგეულობისთვის განყოფილებათა გახსნით.

**გ ა ნ ჯ ა.**

სიძვირე ამ ქალაქშიც ენით უთქმელია, პირველ საჭიროების სანოვაგის ნაკლულოვანება დიდათ აწუხებს მცხოვრებთ. აგრედვე ქალაქში ვერ შოულობენ ნავთს

**ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი.**

მეორე სალაპარაკო საგნად დღეს ხურდა ფული გადაიქცა. ჩვენ დაბიდანაც კარგა ხანია სადღაც გაჰქრა ხურდა ფული, რამაც დიდი უხერხულობა დაჰბადა ისედაც მოუწყობელ ჩვენს ცხოვრებაში. თვით ფოსტაში ფულის ნაცვლად მარკებს იძლევიან.

**გ ო რ ი**

18 ღვინობისთვეს ნიკო ლომოურის გარდაცვალებიდან წლის თავის შესრულების გამო, განსვენებულის საფლავზე ქართველმა ინტელიგენციამ პანაშვიდი გადაიხადა.

— აქაურ ქალთა და ვაჟთა გიმნაზიის მოწაფეებს ქართულ წარმოდგენებზე სიარული აუკრძალეს, ძლიერ გვაკვირვებს ჩვენ ეს დადგენილება, და ვერაფრისთვის მიგვიწერია იგი.

— საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება მოქმედებას უკვე შეუდგა. ქართლის სოფლებიდან იუწყებიან, რომ იქ შემდგარა კომიტეტები, რომელიც ჯარისკაცთა დასახმარებლად სანოვაგეულობას აგროვებსო.

## რასა სწერენ?

**„სახალხო ფურცელი“ უწიგნობის შესახებ.**

ჩვენში ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ქართული ეროვნული სკოლა არ მოგვეპოვება, ჩვენს დედა-ენას არ გვასწავლიან, მაგრამ არავინ ჰფიქრობს, საკითხავი მასალა მიაწოდოს იმას, ვინც იცის ქართული ენა. ჩვენ უზომოდ გადაჭარბებულის ზეიმითა და დღესასწაულით მივეგებეთ იმ ამბავს, რომ ბალმონტმა რუსულ ენაზე გადასთარგმნა ჩვენი „ვეფხის ტყაოსანი“, მაგრამ ოდნავად არ ვცდილობთ, ოდნავად გავაფაქიზოთ და გავაღრმავოთ იმ ხალხის გონება, რომლის ღვიძლი შვილია ჩვენი ეროვნული დიდების შემომქმედი. ჩვენ ხშირად ვწუწუნებთ და ვგოდებთ, რომ ჩვენს ერში ვერ ვხედავთ ყოველთვის ეროვნულ სიმტკიცეს და ეროვნულ თავმოყვარეობის შეგნებას, მაგრამ კი არაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ხალხს შესაფერის წიგნებით თუ სხვა საშუალებით გავაცნოთ თავისი თავი, წარსული, აწმყო. აქამდის არც ერთი წიგნი არ დაბეჭდილა, რომელიც პასუხს აძლევდეს რომელსამე ეხლანდელ კითხვას. სხვას რომ თავი დავანებოთ, ნუთუ ერთი უბრალო წიგნაკი არ უნდა გამოსულიყო სამაჰმადიანო საქართველოს შესახებ, რომლის ბედი თითქოს ასე მწარეა და მწვავე ყველა ქართველისათვის? ნუთუ დღეს ათი ათასობით არ უნდა ვრცელდებოდეს ჩვენს ხალხში ისეთი წიგნები, რომლებიც გადაუშლიდნენ მას წინ ჩვენს წარსულს პოლიტიკურს და კულტურულს ცხოვრებას?

**„თანამედროვე აზრი“, საერთაშორისო უფლებასა და იმპერიალიზმის შესახებ.**

უფლება ძალაა! რა მნიშვნელობა აქვს ბურჟუაზიულ საზოგადოებისათვის ფარატინა ქაღალდს, როცა იგი მას ფრთებს აკვეცს და იმპერიალისტურ გზაზე წინ ეღობება! ბელგია აიკლეს, ვინაიდან სუსტი გამოდგა. სუტსა და ტვირთს მძიმეს ბურჟუაზია არ წყალობს.

## პოლიტიკური დუქანი

საქართველოში—ფედერალისტთა პატარა ?????? ????? ერთს გაზეთს სცემდა: მაგრამ ქვეყნის გაბედნიერებისათვის ერთის გამოცემა სჩანს საკმაო არ ყოფილა და დაიბადა ახალი ორი.

ერთი მარჯვენა, მეორე მარცხენა მიმართულებისა.

მარჯვენას—გაზ. მეგობარს სცემენ დირექტორები—თავადი კიტა აბაშიძე და გ. ზდანოვიჩი.

მარცხენას—გაზ. ,,ზვირთს''—,,სახალხო ფურცლის'' სტამბის მუშები თ. ღლონტის ხელმძღვანელობით.

თვით ,,სახალხო ფურცელმა'' კი ცენტრალი პოზიცია დაიკავა, რომლის გამაგრების იდეას, სჩანს, უნდა ემსახურებოდეს ზემო ნახსენები მარჯვენა და მარცხენა მისი ფრთები:

,,გაზ. ,,მეგობარი'' და ,,ზვირთი''.

ამრიგად ფედერალისტთა ,,ბრძოლის პირი'' მიუდგომელია კრიტიკისათვის.

მაგალითად, თუ უსაყვედურებთ, რომ ისინი ბურჟუა-ნაციონალისტი არიან მაშინვე მიგითითებენ მარცხნივ:

სიცრუეა! აი ჩვენი მუშების—,,ზვირთი!'' თუ უსიამოვნებას გამოუცხადებთ, რომ სოციალისტობენ და ეროვნულ დროშას დაფლეთილს დაათრევენ, მარჯვნივ მიბრუნდებიან და ამაყად შემოგძახებენ:

ტყუილია! აი ჩვენი ბურჟუა დირექტორების ,,მეგობარი''-ო!

თუ შეეკითხებით თვით ,,სახალხო ფურცელს'' შენ რაღას ნიშნავო?—გიპასუხებს: მე ფედერატიულად ვაერთებ დირექტორებს და მუშებსო, და ვიცავ წმინდა სოციალისტურ-ფედერალიზმის დროშასო! დირექტორების ფედერაცია.

თ. ღლონტის *) ,,მუშათა კლასის'' სოციალიზმი და ,,სახალხო ფურცლის'' სოციალიზმ-ფედერალიზმი, აი ის ,,მთლიანი ეროვნული გეგმა'', ან მისივე ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ—,,ანკარა წყარო'' ქართულ პოლიტიკისა, რომელსაც ყოველი ქართველი უნდა დაეწაფოს და ცხონება მიიღოს!

ვულგარულად კი რომ ვსთქვათ, დღევანდელი სოციალიზმ-ფედერალიზმის პოლიტიკური დუქანია, სადაც წვრილ წვრილად ყველაფერი იყიდება:

სოციალიზმიც, საკუთრებაც, ფედერაციაც, ავტოკეფალიაც და დირექტორების ადგილებიც.

და ეს არც საკვირველია.

ყოველი მედუქნე ასევე სცდილობს:

ყველანი დააკმაყოფილოს და თუ რაიმე საქონელი დააკლდება, გითხრას:

ხვალ მექნება! მობრძანდით, სხვაგან არ შეიაროთ.

და დღევანდელი ,,ფედერალისტთა პოლიტიკური დუქანი''-ც გეუბნებათ:

აი ბურჟუაზიული ,,მეგობარი'',

აი სოციალისტური ,;ზვირთი'',

აი სოციალისტ-ბურჟუაზ-თავადური – ,,სახალხო ფურცელიც''.

და ამ ,,პოლიტიკურ დუქნის'' პატარა მედუქნე არ. ჯაჯანაშვილი აღტაცებით და ხელების ფშვნეტით სთვლის მომავალ სარგებელს. სარგებელს არა ქვეყნისას,

არამედ თავის სარედაქციო კანტორის სალაროისას.

ეკალი.

*) საჭიროა გავიხსენოთ, რომ ეს ვაჟკაცი რამდენიმე ხანი თანამშრომლობდა „შავრაზმულ“ ჟურ. „კლდეში“ და როდესაც მან რედაქციას გონორარი მოსთხოვა და ღარიბმა „კლდემ“ მისი მიცემა ვერ შესძლო, „სოციალისტ-ფედერალისტების“ ბანაკში თავი შეაფარა და ეხლა კაი ჯამაგირის საშუალებით „ზვირთის“ სოციალისტებს ხელმძღვანელობს.

### ხმოსანთა არჩევნების გამო.

...ოგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა ...ან, თბილისის ქალაქის საბჭომ დაა...ა, რომ ხმოსნების ასარჩევად თბი...ი გაიყოს შვიდ უბნად. მაგრამ საქა...ო საქმეთა საკრებულომ ეს დადგე...ბა არ დაამტკიცა და თავისს მხრივ ...ვილი გამოსთქვა, რომ ქალაქი იქნას ...ოფილი რვა საარჩევნო უბნად. ამას...ვე ხსენებულმა საკრებულომ პირდა... მიუთითა მეორე და მესამე საპოლი... ნაწილებზე, რომლებიც ცალკ-ცალ... საარჩევნო უბნებს უნდა წარმოადგენ...ნ, მაშინ როდესაც საბჭოს პროექტით ...რი საპოლიციო ნაწილი ერთს სა...ვენო უბნად იყო აღიარებული.

...ინტერესოა ხმოსან პ. გოთუას აზრი ...ს განსაკუთრებულ მოხსენებაში გატა...ული, ქალაქის ამ ორი ნაწილის შე...ბ. ბ-ნ გოთუას ცნობების თანახმად, ...რე საპოლიციო ნაწილში ცენზიანი ...ები არიან 211, ქართველები 225 ...ომხები 227 კაცი, მესამე საპოლი... ნაწილში რუსები 125, ქართველები ...და სომხები 307. ამ ცხრილიდან ...ად სჩანს, რო მეორე საპოლიციო ...ილში, თუ ეს უკანასკნელი დამოუკი...ელ საარჩევნო უბნად იქნება ცნობი... სამივე ეროვნების წარმომადგენელნი ...ბრად გავლენ ხმოსნებად. სამაგიე... მესამე საპოლიციო ნაწილში, საცა ...ვლესობას სომეხთა ბურჟუაზია შე...ნს, მხოლოდ ამ უკანასკნელის წარ...მადგენელნი გავლენ ხმოსნებად. მეო...ა მესამე საპოლიციო ნაწილები ერთ ...რჩევნო უბნად თუ დარჩა აღიარებუ..., მიუხედავად იმისა, რომ იქ ნაკ...ბა ამომრჩეველთა რიცხვი მეორე ...ლთან შედარებით, სავსებით ჩაყ...ვს მეორე ნაწილს და ხმოსნებად ...ს კანდიდატებს გაიყვანს. ეს უთუ...სე უნდა მოხდეს, რადგან ორივე ...ლიციო ნაწილის ამომრჩეველი სომ...ბურჟუათა ხმები უდრის 534-ს, მა...როდესაც რუსებისა და ქართველე...შეერთებული ხმები უდრის 689-ს. ...მ ნუ დაგავიწყდებათ, რომ პირვე... წარმოადგენენ მჭიდროდ შეკავში...ულ და არჩევნებში დიდად გაწრ...ლ და დახელოვნებულ ძალას. ამას ...ისიც ერთვის, რომ რუსები გულცი...ეკიდებიან საარჩევნო საქმეს და ...ნ ისიც მხედველობაში უნდა ვიქო..., რომ რუსებზე და ქართველებზე ...ქის ვალია დარჩენილი და ასეთებს ...ჩევნო ყუთებთან არავინ მიუშვებს, ...ნ როდესაც სომხის ბურჟუაზიას ერ...მაც არ დაეკარგება. ასე რომ იმ ...ხვევაშიაც, თუ რუსები და ქართვე... შეერთდნენ და საერთო კანდიდა... გამოიყვანეს, მაშინაც ვერას გახ...ნ სომხების ბურჟუაზიის წინააღმ-

## სხვათა შორის

(...ბურ მოღვაწეთა ხვედრი და სალიტე...ტურო ფონდის დიდი საჭიროება).

**გ ა კ ვ რ ი თ**

...ად მწარეა ხვედრი ქართველი ...რისა: ნარ-ეკლით და ტანჯვა-წვა...თ არის მოცული მისი საზოგადოე... მოღვაწეობის ასპარეზი; მისი კე...მობილური სულისკვეთება და თავ...რული, ხანგრძლივი და უანგარო ...ური ძალიან იშვიათად თუ ფას... (და თუ ფასდება ისიც ნაგვიანე...) იმ საზოგადოებისაგან, რომლის კე...დღეობასაც ეწირება, არა იშვია... ჩვენებურ მწერლისაგან მთელი ...

...ნებურ მწერალს, განსაკუთრებულს, ...ველურს"—თუ შეიძლება ასე ...ათ—პირობებში უხდება მოღვაწე...მგონი არც ერთ ეროვნების მწე... არ განიცდის ისეთ გასაჭირს და ...ობას, როგორადაც ჩვენი, რის უმ...სი მიზეზთაგანი ის გახლავთ, რომ ...ჯეროვნით, სამწუხაროდ, ჩვენებურ ...ლ-მესვეურთა გრძნობა-გონების ...ს—პრესის სახით, იმდენა ფართო ...ვნილება არა აქვს, რის შემოსავ...ნაც მწერალს შეეძლოს თავის რჩენა. ...ითად, რუსების საშუალო ნიჭის ...ლიც თუ თავის ნაწერებით თით... მილიონებს იძენს, ჩვენში ისეთი ...თ საჩვენებელი და ეროვნული სია... მწერალიც კი, როგორიც იყო თუნ...ტარხსენებული ვაჟა-ფშაველა, დიდ ...იალურ გაჭირვებას განიცდიდა. საზოგადოდ, ჩვენებურ მწერალს, ...ა აქვს შემოსავლიანი რამ მამუ...ნ სხვა გვარი გარეშე წყარო ცხო...სა და თუ, ამასთანავე, იმას არ ...ულალატოს თავის მადლიან მო...ბას და სურს იაროს სწორე გზით ...თა საკეთილდღეოდ,—უმადური, ნა...დ მშიერი ყოფაა მისი ხვედრი.

...არსებულ პირობების გამო, ჩვენ ...ს არ შეუძლიან, ჯერ-ჯეროვნით ... ასაზრდოვებს მწერალი,—ხომ ... საკმაო რიცხვი საზოგადოების ...ულ ნაწილისა, რომლის უაღრესს ...რივ მოვალეობას უნდა შეადგენდეს საშუალება მისცეს, ბევრს თუ არა, რამდენიმე რჩეულ—ხელმოკლე მწერალს მაინც დამშვიდებით და პირნათლად ემსახუროს თავის მოწოდებას. ილიას და აკაკის მეფურ დასაფლავებაზე ამბობდნენ და პრესაშიც იყო აღნიშნული, რომ ეს ქართველ ინტელიგენციის და საზოგადოების შეგნებულ ნაწილის დემონსტრაცია იყოო... თუ ეს ნახევრადაც მართალია,—რა არ შეუძლია ამ ზღვა ხალხს!.. ჩვენ რომ საზოგადოდ დღესასწაულებში და კერძოდ—საზოგადო მოღვაწეთა დაკრძალვის დროს ვიცით ხოლმე უზომო, თავდაუჭერელი ხარჯი.

ჩვენი დაუდევრობა - უზრუნველობით ჩვენი მესვეურნი სამარის კარამდე მიგვყავს ხოლმე და, რომ იტყვიან „ურემი რომ გადაბრუნდება", მაშინ აღარ ვერიდებით ხშირად უაზრო ხარჯსაც და ჩვენი ვაი და ვიში ხომ თითქოს ცასა სწვდება!.. აქ ჩემ თავს ნებას მივსცემ და მოვიყვან, ჩვენ დამახასიათებელ ერთ თქმულებას მოლლა ნასრედინზედ: „თურმე მოლას მისი „მოკეთეები" დიდხანს ელაპარაკებოდნენ, რომ მომჭირნეობა და მოთმინება საჭიროა ამ ქვეყნადო, ვინაიდან, რამდენსაც მეტს მოითმენ საააქაო ცხოვრებაში, იმდენი, ერთი ათად და ასად, მოგეზღვევა საიქაო ყოფაშიო. მოლლამ თურმე დიდის მოთმინებით და გულ-დასმით მოუსმინა გრძელ ტირადა „ქკვა-მასწავლებელთა" და მხოლოდ ბოლოს ირონიულად შენიშნა:—არა, მეგობრებო, თუ რამე მერგება ამ თავითვე, სააქაო ცხოვრებაშივე, მომეცით და საიქიოს ოქროს მთები თქვენთვის დამილოცნიაო.

განა ჩვენივე დაუდევრობის ნაადრევი მსხვერპლი არ შეიქმნა საბრალო ვაჟა!? ამ ბუმბერაზ სულის და შემოქმედების ადამიანს მიეტოვებინა თვის პირად კეთილდღეობაზედ ზრუნვა; თვით კულტუროსანი, განშორებოდა კულტურულ ცხოვრებას, გასულიყო ხალხში და ხშირად, განმარტოებით შესდგებოდა ხოლმე მაღალ მთის ქედზე და იქ, ღმერთებთან ახლოს, ცხოველმყოფელ ლოცვით შესთხოვდა სამშობლოს სიცოცხლეს, იმის კეთილ დღეობას. როგორც თვით ამბობდა, ვაჟას იქ ეგულებოდა:

> ნათელ მოსილი პირები.—
> ოღონდ შენ რამე გიშველონ,
> დღე-მუდამ ავეტირებიო!..

და ეს მაღვიძებელი ზარი ჩვენი ეროვნულ ცხოვრებისა, დაწყევლშვილებული, დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა იშვიათის მოთმინებით, ხმა ამოუღებლივ, ვინაიდან განა ყველას შეუძლია სხვისადმი ღიჯინი თავის მობეზრება!.. ჩვენ თითონ წინააღმდეგი ვართ, რომ ცალ-ცალკე, ხელის-მოწერით, ან რამეგვარ მოწოდებით ფული იკრიბებოდეს ამა-თუ იმ ხელმოკლე საზოგადო მოღვაწის სასარგებლოდ: ეს არც ისრე ადვილად შესასრულებელია, ნაკლებ ნაყოფიერი და, ცოტა არ იყოს, თავმოყვარეობის დამამცირებელი იმ პირისა, რომლის სასარგებლოდ სიცოცხლეშივე იკრიბება.

საჭიროა, და აუცილებლად საჭირო, საგრძნობელ **სალიტერატურო ფონდის შექმნა,** რომლის გაძლიერებასაც ხელი უნდა შეუწყოსყველა ჩვენმა საზოგადოებრივმა ლაწესებულებამა და შეგნებულმა პირებმა. ამ ფონდისავე გასაძლიერებლად, ყოველ-წლივ უნდა იმართებოდეს, როგორც ადგილობრივ, ეგრედვე პროვინციებში: ლექციები, წარმოდგენები, დილა-საღამოები. ყოველგვარი შეკრებული ფული, ამა თუ ამ მოღვაწის პატივსაცემად, უნდა იგზავნებოდეს ამავე საერთო აუზ-სალიტერატურო ფონდში. ამ გვარად დაყენებულმა საქმემ დიდი ნაყოფიერება შეიძლება გამოიღოს. ამ ფონდისავე გამგეთ პირდაპირ მოვალეობას უნდა შეადგენდეს, სხვათა შორის, იმ სიმპატიურ საქმის ჯეროვანად მოწყობა, რაიც ამ ცოტა ხანში აღიძრა, სახელდობრ სოფ. ცემში აგარაკის დაარსება დაავადებულ მოღვაწეთა დასასვენებლად.

თუ მართლა შეგნებულად და გულწრფელად თანავუგრძნობთ ჩვენს მესვეურთა სულის კვეთებას და გვწადია უფრო ნაყოფიერი და საგრძნობელი გავხადოთ მათი საქმიანობა,—ხელი შეუწყოთ, ვისაც რითი შეგვეძლება, სალიტერატურო ფონდის შესაქმნელად, რითაც ერთნაირ ცხოვრების სახსარს გაუჩენთ ჩვენებურ ხელმოკლე მოღვაწეთ და ამითვე, ჩვენ ზნეობრივ მოვალეობასთან პირნათლად გამოვალთ.

აქვე არ შეგვიძლია არ ავღნიშნოთ ის კულტურული საქმიანობაც, რასაც იჩენს ხარფუხის ჯერ ნორჩი კლუბი, რომელმაც ამას წინედ მოაწყო საგრძნობელი შემოსავლიანი დაზარალებულ მოძმე-აჭარლებთა სასარგებლო სეირნობა და ამ მოკლე ხანში კიდევ განუზრახავს საღამოს მოწყობა ლიტერატორთა თავშესაფარ აგარაკის მოწყობის სასარგებლოდ. ტფილისის საზოგადოება იმედია უმალ თანაგრძნობით შეხვდება ხარფუხის კლუბის გამგეთა ამ ახალ სიმპატიურ განზრახვასაც.

**გ. ახალციხელი.**

## პატარა ფელეტონი

# სცილა და ხარიბდა

(ძველი რომის ცხოვრებიდან)

I

— იცი, იუნიუს, როგორი გლადიატორი შევიძინე? რომ ნახო, თვალი ზედ დაგრჩება!—ამცნო თავისებრ მდიდარს თანამემამულეს მდიდარმა რომაელმა მენენიუსმა.—ფეხის გადადგმით ვეფხვს მოგაგონებს, ტანის რხევით კიდევ ქარისაგან შეჩქროლებულ კვიპაროსსა. თერთმეტი შეუდარებელი გლადიატორი მყავს, მაგრამ იმისთანა არც ერთი არ არის.

— მერე, რა ძალიან გაგკვირებია?—გამოუკამათა იუნიუსი.—ჩემს იბერიელს მაინც ვერ ემჯობინება. სიტყვით აუწერელი სილამაზის პატრონია. უნდა ნახო, როგორი მოისრეა! ას ნაბიჯზე ბუზს ამოიღებს მიზანში და ზედ შუაზე გააპობს. ძალიან...

— ჩემიც იბერიელია!—გააწყვეტინა სიტყვა მენენიუსმა.—ურჩი პრომეთეოსის ქვეყნიდანაა. შენი კი უთუოდ პირენეებიდან იქნება.

— არა, ჩემიც სწორედ იქიდანაა, საიდანაც შენი ყოფილა. ამაყია, როგორც თეთრ ჯავშნიანი იალბუზი და უდრეკი, როგორც კავკასიონის ქედი. იქაური დიდებული უნდა იყოს. თურმე მიტრიდატის ჯარში იბრძოდა და ჩვენებს ტყვედ ჩავარდნოდა, როცა დამარცხებულს მიტრიდატს ზურგს უმაგრებდა და გაქცევასა ჰშველოდა.

— მაინც არა მგონია, რომ ჩემსას სჯობდეს შენი იბერიელი. შენ ხომ იცი, შენზე უკეთესად მესმის გლადიატორების სიავ-კარგე. ეს ერთი კვირაა, გასაყიდად ახალი მონები აღარ მოურეკიათ. თუ ამ ერთი კვირის წინ იყავი მონების ბაზარში, მაშინ მეც ხომ იქ ვიყავი, როგორ გამომეპარებოდა? შენ როგორ დამასწრობდი ყიდვას, თუ კარგი რამ იქნებოდა?

— შენ ხომ შენ ბაქიაობას არ მოიშლი. აი თუ გნებავს საჯაროდ შევაბრძოლოთ და მაშინ ვნახავთ, შენი აჯობებს თუ ჩემი.

— კეთილი და პატიოსანი, შევაბრძოლოთ. სანაძლეოს რას მომცემ, ჩემმა რომ აჯობოს?

— ჩემს ფასდაუდებელ არაბულს მერანსა. შენა?

— ჩემს საყვარელ ბროლის თასსა.

II

ერთი თვალის დახამხამებაზე მთელმა რომმა უკვე იცოდა, სცილა და ხარიბდა დანაძლევებულან და თავისი გლადიატორები უნდა აბრძოლონო.

ხალხი მენენიუსს მეტ სახელად სცილას ეძახდა და იუნიუსს ხარიბდასა. ისე მონები ვერ მოერეკათ გასაყიდად, რომ მენენიუსს და იუნიუსს არ გაეშინჯათ ჯერა. საუკეთესოებს ეს ორი პატივსადები პირი აირჩევდა ხოლმე. თუ როგორმე, რომელიმე გასაყიდი რიგიანი მონა დასცდებოდა მენენიუსსაც და იუნიუსსაც, ხალხი ამბობდა, ბედნიერი ყოფილა სცილასა და ხარიბდას გადარჩაო. მენენიუსისა დ იუნიუსის სიმკაცრე ადამიანის წარმოდგენას აღემატებოდა; ერთისაცა და მეორის ხელშიაც დიდი საქები იქნებოდა თუ რომელიმე მონა ერთი წელიწადი მაინც გასტანდა და გადარჩებოდა ან ცოცხალი ან დაუსახიჩრებელი. წესის დამრღვევს მონებს მდიდარი რომაელი ოჯახები სულ მუდამ სცილათი და ხარიბდათი ემუქრებოდნენ: თუ კიდევ რიგზე არ გააკეთებთ საქმეს სცილასა ან ხარიბდას მიგყიდითო.

დანიშნულ დღეს ხალხი გარეთ გამოიშალა. თვითეული ქუჩა მიმავლებისაგან აზვირთებულ მდინარეს დაემსგავსა. გზა საქცევი აღარსად იყო, დიდი თუ პატარა, მონა თუ თავისუფალი, ყველანი მოედნისაკენ მიეშურებოდნენ სეირის საყურებლად. ისეთი ჟრიამული იდგა, რომ ყურთა სმენა აღარ იყო. მოედანი ზღვად ქცეულიყო ტევა აღარ იყო. მრავალი მაყურებელი სახლის სახურავებს მოჰქცეოდა თავსა. გან-განის ძახილზე ბრბო აბობოქრებულ ზღვასავით ხან ერთს მხარეს ეხეთქებოდა ხან მეორეს. მოედნის ერთს მხარეს ტახტები ჩამოემწკრივებინათ და ზედ რომის წარჩინებული ოჯახები მოთავსებულიყვნენ. ტახტების წინ უშველებელი კალოს ოდენა თავისუფალი ადგილი დაეტოვებინათ გლადიატორების საბრძოლველად. ზედ კანტი-კუნტად ხან ერთი წესის გამრიგებელი გადირბენდა ხოლმე ხან მეორე მენენიუსსა და იუნიუსს წარჩინებულთა ოჯახთა შორის საპატიო ადგილები ეკავათ. თვითეულს მათგანს გვერდით გულის ვარდი მოესვა და ისე მოელოდა ბრძოლასა.

— რა გაღელვებს, ჩემო სიცოცხლევ!—უთხრა მენენიუსს სატრფომ და გულზე კოპწია თავი მიაყრდნო.—აბა, რაღა მტკიცება უნდა იმას რომ შენი გლადიატორები გაიმარჯვებენ?

— ბროლის თასს მე მაჩუქებ არა? მე მაჩუქებ არა?—ეკითხებოდა ლურჯთვალა ვენერა იუნიუსს და ლოყაზე ხელს უცაცუნებდა.

იუნიუსი დარწმუნებული იყო, სანაძლეოს მოიგებდა, და ლურჯთვალას თხოვნას თავის კანკურით დასტურსა სცემდა.

დაიწყო ბრძოლა. თავდაპირველად ორივე მოწინააღმდეგე მხრიდან რამდენიმე წყვილი მეომარი წაჰკიდეს ერთმანეთს. იბერიელები ჯერ არსადა სჩანდნენ.

მოედანი წითლად შეღება და ჰაერში ადამიანის თბილი სისხლის სუნი დატრიალდა. ალაგ-ალაგ გუბეები დადგა. მაყურებლები მებრძოლთ აქეზებდნენ. ორივე მხარე მედგრად იბრძოდა. ვინც მარცხდებოდა და დაჭრილ-დაკოდილი ძირს ეცემოდა ცოცხალი აღარა რჩებოდა. სისხლით დამთვრალნი სცილა და ხარიბდა თავის დამარცხებულ მონების დახოცვას თვითონვე თხოულობდნენ.

— შემარცხვინა! შემარცხვინა!—ყვიროდა ცალმხრივ სცილა.—ცოცხალი აღარ გაუშვათ! ჩააძაღლეთ!

— ჩაეც მახვილი! ჩაეც!—პყვიროდა ხარიბდა.—მაგან იმედი გამიცრუა!

მალე სიკვდილს გადარჩენილი გლადიატორები სისხლის დენამ მიასუსტა. ისეთი გაავთრებული ეკვეთებოდნენ ერთმანეთს, რომ დაუკოდავი არავინ გადარჩენილა.

— იბერიელები გამოიყვათ, იბერიელები!—იყვირა ხალხმა, როცა დაინახა, რომ ამ ბრძოლიდან არა გამოვიდა რა.

ბრძოლის ასპარეზი მოაცარიელეს ახალ მებრძოლთათვის.

ხალხი გაირღვა და თავისუფალ ადგილზე ახოვანი ვაჟკაცი გამოიჭრა. ეს იყო მენენიუსის ნაყიდი იბერიელი. ბევრს რომაელ ქალს აუტოკა გული. შავი თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა. ბატონი თავისუფლებას დაჰპირებოდა, თუ გამარჯვებული გამოვიდოდა ბრძოლის ასპარეზიდან, და მოწინააღმდეგეს გაფაციცებით ეძებდა. გაიარ-გამოიარა. შიშველა კლავების და კანჭების კუნთები ელვის სისწრაფით ხან ეშლებოდა, ხან ებურცებოდა. მაღალ შუბლს შავი თმის ტევრი უმშვენებდა. მოქნილ ტანს ისე არხევდა, როგორც აბიბინებული ზღვა ნავსა.

მალე იუნიუსის იბერიელიც გაჩნდა, მართლაცა და არც ეს იყო ნაკლები ვაჟკაცი.

მაყურებელნი კავკასიონის შვილებს სულგანაბულნი ათვალიერებდნენ: ორივე ერთნაირად იყო შეიარაღებული. ტანზე ჯაჭვის პერანგი ეცვათ. თავ-თავიანთ ბატონის ბრძანებით საბრძოლველად უჩაფხუტოდ გამოსულიყვნენ. ერთსაცა და მეორესაც ერთ ხელში შვილდი ეჭირათ, მეორეში ფარი, წელზე კიდევ მახვილი ჰქონდათ შემორტყმული. გასაოცარი ის იყო, რომ ისინი ერთმანეთს ძალიან წააგავდნენ. იგივე ტანი, მაღალი შუბლი, თვალები, იგივე სიარული, იგივე მედიდური გამომეტყველება სახეზე. ხნით სცილას იბერიელი სჭარბობდა.

მოწინააღმდეგეებმა შეხედეს ერთმანეთს და შეკრთნენ. თითქოს ელექტრონულმა ძალამ დაურბინა ორივეს ტანშიო, ისე აუთრთოლდათ კუნთები. ჯერ სახეზე სიხარული და გაკვირვება აღებეჭდათ მერე კი მოეღრუბლათ.

— ძმაო, არტოკ!—წამოიძახა მენენიუსის გლადიატორმა, რომაელებისათვის უცნაურ ენაზე.

— ქარძამ!—გაისმა პასუხად.

რომაელებს ეს სიტყვები იბერიელთა საომარი კივილი ეგონათ. მაგრამ მალე მებრძოლთ მაგივრად ორი ჩახუტებული ადამიანი დაინახეს.

ძმამ ძმა იპოვა.

— სიკვდილი მაგათ!—წამოიძახა გაბრაზებულმა სცილამ და ზეზე წამოიჭრა.

სცილას ხარიბდამაც მისცა ხმა.

ამ ძახილზე ბრბოც ახმაურდა და მაღლა აზიდულ ზღვის ტალღასავით წინ წამოიწია: უცხო მხარეში ბედისაგან გადმოკარგულის ორი იბერიელის გასრესა დააპირა.

მაგრამ სურათი გამოიცვალა: ჩახუტებული გლადიატორები უცბად გაშორდნენ ერთმანეთს და ისრები მოიმარჯვეს.

ბრბო შეჩერდა. ტაშის ცემა გაისმა. ყველა მოუთმენლად ელოდა ძმა ძმის სისხლს როგორ დაღვრიდა...

— ვაიმე!—წამოიყვირა მენენიუსმა და კინწმოწყვეტილი თავის სატრფოს კალთაზე პირქვე დაეცა. ზურგში ისრის პირს ამოეყო წვერი.

— მიშველეთ!—წამოიძახა ამავე დროს იუნიუსმა და გულდაღმა გადავარდა. მკერდიდან სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა.

მაყურებელნი გაშეშდნენ. მოულოდნელმა ამბავმა ყველას გონება დაუკარგა.

— არიქა! დაიჭით იბერიელნი!—წამოიძახა ვიღამაც გონმოსულმა.

მაგრამ იბერიელნი აღარსადა სჩანდნენ. ძმებს არეულობით ესარგებლნათ და გაქცეულიყვნენ.

III

— არტოკ, დროა გავეცალოთ ამ ვერანა ქალაქს! წავიდეთ ჩემო ძმაო, წავიდეთ—ეუბნებოდა ერთ საღამოს ქარძამი ძმასა ერთ მიყრუებულს მეღვინის დუქანში, საცა მხოლოდ მონები და გლადიატორები დაიარებოდნენ.—ემანდ არ დაგვიჭირონ. იქ იმ დროს მონების ხროვა რომ არ შეგვწრებოდა, ხომ ჩვენ ცოცხალი არ გადავრჩებოდით? სული-კბილით დაგვეძებენ. ჩვენი სისხლი სწყურიანთ რომაელებს!

— მერე სად წავიდეთ?

— სადა და სპარტაკს მივეკედლოთ. დიდი ჯარი შეუყრია თურმე ჩვენ გვარ ხალხისაგან და რომაელების მოსრას აპირობს.

— წავიდეთ, ძმაო, წავიდეთ! სისხლი ავიღოთ მაინც! თუ გაიმარჯვებს სპარტაკი, იქნება სამშობლოშიაც დავბრუნდეთ.—სთქვა არტოკმა და ზეზე წამოდგა.

ძმებმა დუქანი დასტოვეს და გარეთ გამოვიდნენ. დაღამებულიყო. გლადიატორები ღამის სიბნელეში მიიმალნენ.

**ინ-ბანი.**

# ვისი ბრალია?

III

როგორი შეხედულებისაც უნდა ვიყვნეთ სასულიერო უწყებაზე საზოგადოდ, ის მაინც უტყუარ ფაქტად დარჩება, რომ სამღვდელოებას ცხოვრებაში, მეტადრე სოფლად, დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს მნიშვნელობა ერთი ორად იზრდება მიყრუებულ სოფლებში, სადაც მოძღვარი თავის პირად დანიშნულების გარდა, ხშირად გამოდის გლეხი-კაცის დამხმარედ სხვა და სხვა დარგში. რა გაჭირებაც უნდა მიადგეს გლეხს კარზე, ის მყისვე მიეშურება მღვდელთან და იმისგან მოითხოვს საქმის ვითარების ახსნას და შველას.

კარგია, თუ ავი ამგვარი მჭიდრო დაკავშირება გლეხი-კაცისა მღვდელთან, ჩვენ მოვალეხი ვართ ანგარიში გაუწიოთ ამ მოვლენას და ვეცადნეთ მივცეთ მას ნორმალი განწყობილების ხასიათი, თავის თავად ცხადია, დღევანდელ პირობების მიხედვით, როდესაც ჩვენ ერის ამა თუ იმ ელემენტს ვხდით მსჯელობის საგნად, ამ შემთხვევაში სახეში ვიღებთ ეროვნულ თვალთაზრისს. ყველასათვის აშკარაა, რომ ჩვენი ნაწერების ლეითმოტივს შეადგენს ნაციონალი შეგნების განვითარება და დამკვიდრება იმ რწმენისა, რომელიც ეროვნულ იდეალის მიღწევას აღიარებს ყოველ ძამულისშვილის პირად მოვალეობად. ქართველი ხალხის ჭირ-ვარამი მეტად მრავალ-მხრივია და ყველა ამას სათანადო ყურადღება ეკუთვნის. მხოლოდ „ზვირთის" ბრძენთ ჰგონიათ, რომ თუ გაზეთი თავის ფურცლებს უთმობს საეკლესიო საკითხის გამორკვევას, ის გარდიქმნება „ბერებ-მონაზნების გაზეთად".

ინგილოები დიდის პატივით და ღირსებით ეპყრობიან მოძღვართ. აქ ჩვენ მხედველობაში გვყავს, რასაკვირველია, ინგილო - მართლმადიდებელნი; ესენი მკვიდრთა მცირე ნაწილს შეადგენენ და სცხოვრობენ შემდეგ სოფლებში: კახში, საკანში, მეშაბაშეში, ალათემურში, ალიბეგლოში, ქოთუკლოში, ყორაღანში და რამოდენიმე კომლი სოფელ თასმალოში, რომელიც საინგილოს სამისიონერო პუნქტად ითვლება. სამწუხაროდ, ქართველობის იდეა დღეს მხოლოდ ზემოხსენებულ სოფლებში-ღა სუფევს, ვინაიდგან მაჰმადიანი ინგილონი ათას მიზეზის გამო სწყდებიან საქართველოს ეროვნულ სხეულს. ზაქათალის ოლქში ხშირად შეხვდებით ინგილო-მაჰმადიანს, რომელიც ერთი თვალის გადავლებით ტიპიური თათარი გეგონებათ, მაგრამ თქვენს განცვიფრებას საზღვარი აღარ აქვს, როდესაც ეს „თათარი" დაგიწყებთ საუბარს და მოგიხიბლავთ საუცხოვო ქართულის ენით... ამაღელვებელი აჩრდილი ქართველი ერისა იგი დღეს გვშორდება და მიეშურება გადაგვარების გზისაკენ!..

არც საკვირველია ის გარემოება, რომ ინგილოები პატივსა სცემენ მღვდლებს: ეს ათი-თხუთმეტი წელიწადი იქნება, რაც საინგილოს მოევლინა საკუთარი ეგრედ წოდებული ინტელიგენცია, რომელიც, თუმცა ნაკლებად და უფერულად, მაგრამ მაინც აგრძნობინებს ხალხს, რომ იგი ქართველთა მოძმეა,—თორემ ბნელით მოსილ წარსულში სოფლად ერთად-ერთი მღვდელი იყო ხიდად, რომლის შეწევნით ქართველობის სული კრძალვით მაინც შემოდიოდა ძველ ჰერეთში. თავის მღვდელში ინგილო ხედავდა არა მარტო მოძღვარს და სულიერ მამას,—მღვდელთან ის ისმენდა ქართულ ნაღვლიან გალობას, ქადაგებას, მის ქართულ ენას ბევრჯელ აუძგერებია ინგილოს გული და მოუგონებია მისთვის წარსული ქართველობის დრო... საქართველოს წარმომადგენელი საინგილოში მღვდელი იყო და, თუ ეს ფაქტიურად არ იყო ჭეშმარიტი, ინ[გი]ლოს მაინც ასე ესმოდა და ეს მის[თ]ვის საკმარისი იყო. ცხადია, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ეროვნულ შე[გნ]ების აღორძინებაში მღვდლის პიროვნებას, მის გონებრივ და ზნეობრივ თვისებას, მის ღირსებას და განსაკუთრებულ სიფაქიზეს. რელიგიურ მხარესთან ერთად მას გარემოებამ არგუნა ფრიად შესამჩნევი მისია: ეროვნული აზრის განმტკიცება. ამ წმინდა საქმეში მას სავსებით ხელს უწყობს მდგომარეობა: იგი აღჭურვილია ინგილო ხალხის განუსაზღვრელი ნდობით და ძალუძს თვის ძალ-ღონეს მისცეს ესა თუ ის მიმართულება. მოვიგონოთ დაუვიწყარი მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილი: მაშინაც კი, როცა მის, როგორც მისიონერის, ოფიციალ მოვალეობას შეადგენდა მაჰმადიანთა მონათვლა, იგი ჰქადაგებდა... horribile dictu—ქართველობის აღდგენას, იგი მოუწოდებდა ყველა ინგილოს, **განურჩევლად სარწმუნოებისა,** შეესმინა, რომ ის ეკუთვნის ქართველ ერს, მუდამ ჟამს აუწყებდა ინგილოთ მათ ვინაობას და მთელი თავისი უმწიკვლო სიცოცხლე შესწირა ინგილოების გაღვიძებას და გათვითცნობიერებას.

როგორიც უნდა იყოს სამღვდელოების საერთო მიდრეკილება, ნუ დავივიწყებთ, რომ მას უკავია ხალხის უმრავლესობის სულის თვისების და კვეთების კლიტე. აქედან მივაპყრათ ყურადღება და გვახსოვდეს, რომ ქართველ ხალხის სულიერ სფეროში სარწმუნოებას არსებითი ადგილი უჭირავს.

არ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეხლანდელი საინგილოს სამღვდელოება შეეფერებოდეს თავის ... ჩვენ არა გვყავს მხედველობაში ესა... თუ ის პიროვნება, რადგანაც ვსარგებლობთ ... სტატისტიკური ცნობებით. შეკრეფილი მასალა-კი საკმაოდ გვარწმუნებს იმაში, რომ არ იქნებოდა ურიგო, უკეთუ საინგილოში გამწესებული იქნებოდნენ უკეთ მომზადებული მღვდელნი. სამსახური საინგილოში პასუხსაგებელია! ერი დაჰგმობს იმას, ვისაც ინგილოების გადაგვარების მიზეზებისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია, ან უნებლიედ ხელი შეუწყვია.

დღეს, როდესაც ქართველი ხალხი იკრებს ძალებს და იღწვის ერის მთლიანობის აღსადგენად, რას აკეთებენ საინგილოში მყოფნი? **რ. ინგილო.**

# წერილი მეგობრისადმი

II

ჩემმა მზემ, ახირებული კაცი ხარ! ბიჭო, რომ მისაყვედურებ თქვენ მიზანს ანგარიშს ვინ გაუწევს—ჯერ ერთი ახალგაზრდანი ხართ და მეორეც ქართველ ხალხის მისწრაფებას დაშორებულნიო! მე კაი კაცო, იმას რას დაეძებ რომ ჩვენ ახალგაზრდანი ვართ, „შენ სახელს რას უყურებ, სახრავი ნახე!" მეორეც განა ჩვენი სიტყვა ქართველ ხალხისთვის ახალია? არა! შენს თავს რომ დაჰკვირვებოდი, ამას აღარ მომწერდი. დასაბამიდან საქართველოს ეროვნული და მამულიშვილური გრძნობა ასულდგმულებდა. განა ეს ახალია? მე თუ ჩემს თავს ნაციონალ დემოკრატს ვეძახი, ანუ მდაბიოთ რომ ვსთქვა, ეროვნულ-ხალხოსანს—განა ეს ახალია? განა ილია ჭავჭავაძე და სხვა მოღვაწენი ამ მიზანს არ ემსახურებოდნენ? შენ ამ წერილს რომ მწერ, აქედან სჩანს, რომ შენი ისტორია ათი წლის ისტორიაა, როცა სხვა და სხვა ჯურის სოციალისტებმა მოსჭრეს ხე ეროვნული, როცა ბურჯი ძირს დასცეს და მთელი ერი სოციალისტად მონათლეს. დიახ ძალით მოსჭრეს ხე ჩვენი ცნობადისა, თვითონ კი ისეთი არაფერი დაგვირგეს, რომ მჭიდროდ ხელი მოგვეკიდნა და ცხოვრების სინამდვილეს გავმკლავებოდით, ჩვენ ვქადაგებდით ერთობას, სოციალიზმს და სხვა ამით სარგებლობდა: იძენდა ჩვენს მამულს, ჩვენს სახლკარს! თუ რომელიმე თამამი გამოჩნდებოდა და დაიძახებდა: ხალხო იღუპებით! თქვენ კაცობრიობისთვის იბრძვით და თქვენ კი არავინ და მთელი თქვენი სარჩო-საბადებელი სხვის ხელში გადადისო,—გამოჩნდებოდა რომელიმე სოციალისტი დემოკრატი, თუ ანარქისტ-ფედერალისტი და იმ კაცს ქვეყანას შეუყრიდა: რეაქციონერი და მოსყიდულიაო. მე კი ვგონებ, რომ მაშინ უნებურად მოსყიდული სულ სხვა ვინმე უნდა ყოფილიყო, რათა ნამდვილი მოსარჩლე მამულისა ჩაექვავებინა, ჩვენი ხალხი ტკბილის სიტყვებით დაღუპვის გზისკენ წაეყვანა და სხვას ამით ესარგებლნა. რა არ ხდება ამ დალოცვილს ქვეყანაში! აბა თვალი გადაავლე ჩვენს ცხოვრებას, განა ასე არ ხდებოდა?

შენ ის ბიჭი არ ბრძანდები, რომ ბრაზით გული გიღონდებოდა ჩვენს მამულებს სხვა რად ეპატრონებაო? მერე, შენ რა ზომა მიიღე იმ დროს რომ სხვა არ დაჰპატრონებოდა. მაშინ გლეხებს უქადაგებდი მამული არ იყიდოთ, ისეც თქვენი იქნებაო და დღესაც ამ აზრისა ხარ—გლეხი მამულს არ ყიდულობდა შენის რჩევით, სხვის ხელში გადადიოდა და შემდეგ გული გიღონდებოდა სხვამ რად ჩაიგდოო! აბა, წარმოიდგინე შენი თავის წინააღმდეგობა! განა ვერ მიმხვდარხარ რომ ყალბ ნიადაგზე სდგეხარ? ან განა შენ შეგიძლიან გლეხს უქადაგო კერძო მესაკუთრე გახდიო? მერე ეს თუ უქადაგე განა სოციალისტ-დემოკრატი თუ სოციალისტ-ფედერალისტი-ღა იქმნები? არ იქმნები! იმიტომ რომ შენი პროგრამა ოთახში შედგენილი, თუ რუს ესერებისგან გადმოღებული, ამის ნებას არ გაძლევს. ნებით თუ უნებლიედ, შენ თვითონ ჰღუპავ მამულს და შემდეგ გული გიღონდება და ოცნებობ: ახ ნეტავ არ გაეყიდათ ესა და ეს მამული... ნეტავ შეძლებული ხალხი გვყავდეს, რომ ერთს დღეს გამოისყიდონ. ერთი სიტყვით, როგორც გწერდი, ჰზიხარ და მთელი დღე ოცნებობ და რაღაცას ელი, ვიღაცას ებუზღუნები, როცა „შენ უნდა შეჰქმნა ჩვენი მყობადი, შენ უნდა მისცე მომავალი ხალხს!".

მაგრამ მე რა გამიკვირდეს, რომ ამ რამდენიმე წლის წინად ხალხის ნამდვილ თვალის ამხელთ, ეროვნულ ნიადაგზე მდგომთ, ცხოვრების საკითხების გულში ჩამწვდომთ რეაქციონერს და ხულიგანს ეძახოდნენ, როცა, აი, შენ ამ ბოლო დროის წერილში ამაზე უარესს იმეორებ და ნიშნს მიგებ: ჰო, ხომ მადლიანად

შეგიკურთხეს ,,ზვირთელებმა'' შენცა და შენ ამხანაგებს ,,საქართველოელებსო!'' ,,ზვირთელებს'' რომ რამე გაეგებოდეთ, ამას არ იზამდნენ, მაგრამ ხომ იცი ,,თავისუფალი ვინც არის?'' პირველ გამოსვლისათანავე იგი ,,ზვირთი'' თუ ბირთვი ,,საქართველოს'' წინააღმდეგ აიმღვრა, და განა ვინღა არ იმღვრევა საქართველოს წინააღმდეგ? ჩემი თავი სხვას ისე არ გაუკვირვებია თავის კადნიერებით, როგორც ,,ზვირთმა'' გამაკვირვა: მან თავისი თავი სოციალ-ფედერალისტად აღვიარა და დიდის რიხით დაიყვირა: ქართველ მშრომელ ხალხის ამშენებლები ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტები უნდა ვიყვნეთო!'' პირშიმც შაქარი! მაგრამ მთელ ქართველ მშრომელ ხალხის სახელით რომ ლაპარაკობენ, თავის თავს რად ატყუებენ? ნეტა შენ მაინც იცოდე, მათ კაცად ითვლები, ვინ მიანდო ,,ვექილობა?'' მიწის მუშა-გლეხკაცობამ თუ ქალაქის მუშა-პროლეტარიატმა? მე დარწმუნებით ვიცი, ჩვენი გლეხკაცი სოციალისტი არ არის, ის მამულიშვილია, კერძო მესაკუთრე, ,,პატარა ბურჟუა'', რის წინააღმდეგნიც თვით სოციალისტ-ფედერალისტები არიან—მაშასადამე გლეხკაცების სახელით ვერ ილაპარაკებენ! რაც შეეხება ქალაქის მუშა პროლეტარებს, ჯერ ერთი, ნამდვილი ქართველი პროლეტარი იშვიათად თუ მოიპოვება, და თუ მოიპოვება, მას სოციალ-დემოკრატები იჩემებენ და ნუ თუ ერთი ორის გამონაკლისის მუშა-ფედერალისტის სახელით ბობოქრობს ,,ზვირთი?'' აბა, შენ თვითონ დაფიქრდი, განა სასაცილო რომ არ იყოს, სატირელი არ არის? კაცო, ჩვენს შორის დარჩეს, ეს ,,ზვირთელები'' რომელი სოციალ-ფედერალისტები არიან, რომ იძახიან ინტელიგენციის ჩამოშორდით, ფართო მასაში გადაველითო? ვის ჩამოშორდნენ?,,სახალხოელებს''?

განა ,,სახალხოელების'' სოციალიზმი და ფედერალიზმი გაცვდა ან დამჟავდა? ან იქმნებ ობი მოეკიდა? (ეს უკანასკნელი მე მჯერა!) განა სახალხოელები ქალაქის მუშებს აღარ ებლაუქებიან? განა გლეხებს ესერების ,,სოციალიზაციას'' აღარ უქადაგებენ? ან იქმნებ რეალურ მოსახლეობის პოლიტიკას ,,თავი დაანებეს, სხვას აღარ სთავაზობენ საქართველოს შუა გულსა და განაპირა კუთხეებს, საქართველოსთვის კერძო საკუთრების პრინციპი აღიარეს და ამან აიძულა ,,ზვირთი'' კიდიდან გადმოღვრილიყო? თუ ორივენი ერთისა და იმავე მიმართულებისანი არიან, რატომ გაზეთის ნებართვა არ გამოიზოგეს? ნუთუ გამოიცა „ზვირთი“ საგინებლად, სათრეველად? რაც უნდა ქმნან, მაგრამ ერთი ცხადია, როდესაც სწერენ, არ ფიქრობენ! შეიძლება არ იგინონ და საქმე კი გააკეთონ!

ჩვენ ჩვენსას გავაკეთებთ! „ვინც რა უნდა სთქვას, ჩვენი წისქვილი ჰფქვავსო''.

**სოლნეს.**

# საზოგადოების საყურადღებოდ

ამ საშინელ საერთაშორისო ქარიშხლის დროს უცხოეთში მომწყვდეულია მრავალი ჩვენი თანამემამულე. ბევრი მათგანი მოსწავლე ახალგაზდობაა. ყველა განიცდის უკიდურეს გაჭირვებას. სამშობლოს მოწყვეტილი ქართველობა ევროპაში შიმშილობს. შემაძრწუნებელი ამბები მოგვდის მათ შესახებ. ქართველი საზოგადოების ვალია მოიგონოს უცხოეთში მყოფი, გაჭირვებაში ჩაცვივნული თანამოძმენი და შეძლების და გვარად გამოეხმაუროს მათ უნუგეშო მდგომარეობას. ქართველობა უმთავრესად თავმოყრილია შვეიცარიის და საფრანგეთის ქალაქებში. ქართ. საქ. საზოგადოებამ ამ დღეებში გადაუგზავნა მათ დეპეშით ორას-ორასი მანეთი პარიზს და ჟენევის გაჭირვებულ ქართველებს. ეს ხომ წვეთია ზღვაში! მით უფრო რომ აქაური ფულის ღირებულება ძალიან დაცემულია იქაურ ბაზარზე. ჩვენი ნიკთიერი ღონისძიება იმდენად შეზღუდულია, რომ არ შეგვიძლია ამ ჟამად მეტით დავეხმაროთ. საჭიროა მათ დასახმარებლად განსაკუთრებულ თანხის შედგენა, შეგროვება. მოუწოდებთ ქართველ საზოგადოებას, თავისი წვლილი შემოიტანოს ამ წმინდა დანიშნულებისათვის. შემოწირულებას ვღებულობთ **სასოფლო სამეურნეო ბანკში**, სასახლის ქუჩაზე, სარაჯევის სახლში **ვ. რ. ყიფიანთან, და აგრეთვე ქართ. საქ. საზოგადოების** ყველა ადგილობრივ განყოფილების გამგეობასთან.

**ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარი გამგეობა.**

# თელავის ქალაქის გამგეობა.

დრო და ხანი ვერ წაშლის მას, რაც მოხდა ამ 4 წლის წინედ ქალაქის რწმუნებულთა არჩევნების დროს, როცა ჩვენმა მეზობლებმა 15 კაცში არც ერთი ქართველი არ გაიყვანეს და სულ თავისები აირჩიეს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი სრულებით არ შეეფერებოდა თავის თანამდებობას.

ჩვენ მაშინვე აღვნიშნეთ, რომ არჩეული პირნი ქალაქის მცხოვრებთ სრულებით ვერ გაუწევდნენ მზრუნველობას და 4 წელიწადი მთელი ქალაქი უპატრონოდ და უყურადღებოდ უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ ასეც მოხდა.

არჩეულმა ხმოსნებმა ისეთი მოქალაქობრივი სიბეცე გამოიჩინეს, რომ ვერ შესძლეს ბოლომდე დარჩენილიყვნენ და ასე თუ ისე სათვალავში მაინც ყოფილიყვნენ, ბევრმა და უფრო შეგნებულთ მალევე დაანებეს თავი, ვითომ თავიანთი აზრით იმის მიზეზით, რომ ისინი არ თანაუგრძნობდნენ ასეთ არჩევნებს. საკვირველია, ამით ისევ თავის თავს ატ-მუილებდნენ, რადგანაც თუ ასე ჰსურდათ მაშინ არჩევნების უმალვე უნდა გასულიყვნენ, რომ ხელმეორე არჩევნები მოეხდინათ, მაგრამ ესენი წავიდნენ როცა უკვე დაამტკიცეს 2—3 თვის შემდეგ ე. ი. როცა გული გულის ადგილას დაიდეს, მაგრამ ეს ჩვენი წერილის მიზანი არ არის.

წარსულს უნდა თავი დავანებოთ და მომავალზე ვიფიქროთ.

ამ არჩეულ ხმოსნებს წარსულ ენკენისთვეში გაუთავდათ ვადა და ეხლა ახალი არჩევნები უნდა მოხდეს. როდის მოხდება არჩევნები, ეს ქალაქის გამგეობის საქმეა, მხოლოდ საჭიროა იგი დაჩქარდეს, რომ რაც მალე ჩამოეცლებიან ისეთი ქალაქის მამები, რომელნიც ამ სახელს ტყუილად ატარებენ, იმდენად კარგია.

თელავში 18 ათასი მცხოვრები ითვლება, უმრავლესობა შეუძლებელი მშრომელი ხალხია, რომელნიც განაპირა უბნებში არიან მოფენილნი, სხვა დროს ხომ ესენი ყოველივე სიკეთეს მოკლებულნი არიან, მხოლოდ დღეს, როცა დაჰბერა საერთაშორისო ომის გრიგალმა, ჩვენი ქალაქიც ვერ ასცდა მის შედეგების მწარე განსაცდელს, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვათ უმთავრესად ამ შეუძლებელ ხალხს.

აი, ამ დროს იყო საჭირო ენერგიის გამოჩენა, მეტი მხნეობა და თუ იყო სადმე მუშაობის გაორკეცება, რომ ბევრ ქვრივ-ობოლ და დავრდომილს შეუმსუბუქონ ქარტეხილის გადატანა, მაგრამ ამის შესახებ თითს არავინ ანძრევს, ხმას არვინ იღებს მოქმედებას არვინ იჩენს. და ასე იქნება ვიდრე ისეთი პირნი ატარებენ ქალაქის მამების სახელს, რომელნიც თავის ცხვირის და დახლის გარეშე არაფერსა ჰხედავენ.

რაც შეეხება ახალ არჩევნებს, ეხლა მოქალაქენიც ჰხედავენ ვინ რას აკეთებს და ვგონებ ასეთ შეცდომას აღარ ჩაიდენენ, მხოლოდ საჭიროა ეხლავე დაინიშნოს არჩევნები, თორემ ვიდრე არჩევნები მოხდებოდეს ვიდრე დაამტკიცებენ შეიძლება რამდენიმე თვე გასტანოს და ქალაქი ასე უზრუნველად დარჩეს.

**დავიწყებული.**

# გურულთა ახლო წარსულიდან

მოძრაობის დაწყების დღიდგანვე ჩვენმა ხალხმა ყოველივე გარეგნულად შეითვისა, უფრო შეათვისეს. ამიტომაც მისი ფაქტიური მოქმედება უმეტეს ნაწილად მისივე სიტყვისა და გარეგნულად შეთვისებული რწმენის წინააღმდეგ იყო მიმართული. ინტელიგენციას ხალხზე სწორი წარმოდგენა არ ჰქონდა. სხვა და სხვა ინტელიგენტთა ჯგუფებმა სხვა და სხვა თეორიებით დატვირთული შიკრიკები დაგზავნეს სოფლად. ამ თეორიების შესათვისებლად ხალხი სრულიად მოუმზადებელი გამოდგა. ამას დაერთო ზედ კიდევ შიკრიკებთა უმეტესობის უმეცრებაც, რის გამოც ყოველივე ის, რასაც საერთო ხასიათი ჰქონდა, რაიც კი საერთო ძალთა შემაკავშირებელ საფუძვლად გამოდგებოდა და თანაგრძნობისა და სიყვარულის წყაროს წარმოადგენდა ხალხში, მოისპო და მის ადგილას გამეფდა უაზროდ შეთვისებული ფრაზეოლოგია.

ასევე მოხდა გურიაში, მაგრამ ეს სხვათა შორის! მე მინდა გურიის ახლო წარსულის ცხოვრებიდან რამდენიმე ჩვეულება აღვნიშნო. მოძრაობის დასაწყისის წინა წლებში გურიაში, სხვათა შორის, შემდეგი ჩვეულება არსებობდა: 1) შემწეობის სახით ეგრედ წოდებული „დასახლება“. თუ რომელიმე მეზობელთაგანს სახლი დაეწოდა, მთელი მეზობლობა (თუ შეეძლო იყო) სახლის ასაშენებელ მასალას უგროვებდნენ და თუ სამაგიეროს ყიდვას შესძლებდა სადმე, იქიდან თავიანთ ხარ-ურმით მოუტანდნენ ეზოში და დაუდგამდნენ საერთო ძალ-ღონით. ამნაირად ეს სამაგალითო ჩვეულებისა გამო მეზობლები მეზობელს უზრუნველ ყოფდნენ. ამ გვარ მოულოდნელ უბედურებისაგან. 2) თუ ოჯახის მარჩენალი მოკვდებოდა, ასეთ ოჯახს წლიურ ხარჯს უგროვებდნენ. 3) თუ ყანის დამუშავების დროს ოჯახის მარჩენალი ლოგინად ჩავარდებოდა, მას სოფელი ყანას უმუშავებდა, თავ-თავიანთი ხარჯით. ყოველივე ამას „შეწევნას“ ეძახდნენ. ვისაც დირე ჰქონდა სახლზედ დასადები, ან საწნახელი მოსატანი, ამისთვის ერთი დაძახების მეტი არ უნდოდა. მაშინვე თავს მოიყრიდნენ და ამ ერთი კაცისთვის აუწევარ საქმეს მოუწესრიგებდნენ. ამ გვარ ურთიერთისადმი მიხმარებაში საკმაოდ გამოსჭვივის საერთო ძალთა მნიშვნელობის შეგნება და ურთ-ერთისადმი თანაგრძნობის საჭიროება.

უეჭველია თითვეული მეზობელი იმ ცროს ასე სჯიდა: თითო დღის მიხმარებით თითვეულ ოჯახს დიდი არა დააკლდება რაო და ერთი-ორი ოჯახი ამ საერთო მიხმარება-შემწეობით კი ადვილად აშენდებაო“. ალბად შეგნებული ჰქონიათ ისიც, რომ, ის უბედურება, რომელიც დღეს მის მეზობელს დასტეხია თავს, ხვალ შეიძლება მას მიადგეს კარებზე.

4) მაინდი, ყანების ხვნა-თესვას თითვეული ოჯახი—ადგილისა, დროის და თავის მდგომარეობის მიხედვით იწყებს. ამიტომ თვითეული მათგანის ყანებს გასაჭირი სხვადასხვა დღეს ადგება კარზედ. ასეთი გასაჭირის ასაცილებლად გაჭირვებული მეზობელი სთხოვს თავის მეზობელს—მოხმარებას. ეს უკანაკნელიც ეხმარება იმ პირობით, რომ როცა ამგვარივე გასაჭირი მასაც ეწვევა სამაგიერო დახმარება მიიღოს მისგან. ასეთ შეგნებულ ურთ-ერთისადმი უსასყიდლოდ დახმარებას ეწოდებოდა „მაინდი“. რადგანაც ყანის მუშის კაპიტალი მისივე მკლავებია, ამიტომ ეს მაინდი გასესხება იყო თავისი ძალ-ღონის, ან უკეთ რომა ვსთქვათ, ამ ძალ-ღონის შემონახვა გასაჭირ დროსთვის. დღევანდელი მეზობელი სრულიად რომ ამოვარდეს, გადაიბუგოს, ან ოჯახის მარჩენალი დაავადმყოფდეს, ამის გამო სოფელი ყურსაც არ გაიბერტყავს. ამის გასამართლებლად ამბობს: „რა უყოთ, ძამიავ, ასეთია ბურჟუაზიული წეს-წყობილების კანონი. სუსტი უნდა გაქრესო და სხვა“. ყანები სრულიად რომ დაეღუპოს მეზობელს—მეზობელი უფულოდ არც კი შეხედავს. მაინდის შესახებ დღევანდელი გურული ყანის მუშა ამბობს: „დღეს კაპიტალისტური ხანაა, მანეთს თუ არ ჩამიდებენ ხელში, ისე მეზობლის ყანაში თოხს არ მოვუქნევო“. და აჰავე დროს ის კი ავიწყდება, რომ ამ მანეთის გულისთვის მისი გაჭირვებული მეზობელი ვის უნდა ჩაუვარდეს კლანჭებში?..

5) **შესაგვარი.** ამ 20 წ. წინედ ჩვენში ქალი ბავშვის დაბადებიდან ორი კვირა მაინც უნდა წოლილიყო ლოგინზე. ამ დროს ლოგინად ყოფნას „ლოგინობა“ ეწოდებოდა. მელოგინე ქალს საზოგადოდ შერჩეულ საჭმელსა და სასმელს აძლევდნენ მაგრამ ღარიბ ოჯახს აბა სად შეეძლებოდა რჩეული საჭმელის შოვნა მელოგინესთვის ორი კვირის განმავლობაში?! და აი, სწორედ აქ ეშველება მეზობელი—მეზობელს და უგზავნის თვითეული მახლობელი ოჯახი ასეთ მელოგინეს ახალ ვარიას, ოყა გაცეხვილ ღომს და ლაგინა (ჭიქლა) კარგ ღვინოს. ყოველივე ამას ეწოდებოდა ,,შესაგვარი'', რომელსაც თავ-თავის დროზე ყველა ულაპარაკოდ და უსასყიდლოდ ღებულობდა. ცხადია, აქაც ურთ-ერთისადმი დახმარების შეგნება გამოსჭვივის.

თუ რა ადვილად შეიძლებოდა ამგვარ სიმპატიურ ჩვეულებათა გამოყენება დღევანდელ სიტყვიერ მისწრაფებათა განხორციელების საქმეში, ამას ვგონებ მკითხველიც კარგად მიხვდება.

6) „მინდორი“. მოძრაობის წინედ თითვეულ სოფელს ერთი საერთო მინდორი უეჭველად ჰქონდა სოფლების შუა ადგილზე.

კვირა-უქმე დღეში სოფლის მთელი მცხოვრები აქ იყრიდა თავს ქალიან-კაციანად კვირას, ნასადილევს, კოხტად ჩაცმულ-დახურული, დიდი და პატარა, ყველა საერთო მინდორზე თავ-მოსაყრელად მიდიოდა—ხალისიანად. აქ მიელოდნენ ერთურთის მეზობელთა სტუმრების ნახვასა და გაცნობას. აქვე მაინდობდნენ (შველოდნენ) ერთმანეთს, აქვე სესხულობდნენ ერთმანეთისაგან ფულს, აქვე ხდებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ცეკვა-თამაში, სიმღერა და ბურთის თამაშიც. აქ კოხტად ჩაცმა-დახურვაში, ზრდილობიან სიტყვა-პასუხში და მიხვრა-მოხვრაში ერთმანეთს ეჯიბრებოდა და იწრთვნებოდა. ერთი სიტყვით ამგვარი მინდორი იყო სოფლისათვის საერთო საკრებულო. მოძრაობის დროს ეს მრავალ მნიშვნელოვანი ჩვეულება, როგორც ძველებისაგან დატოვებული, უკუგდებულ იქმნა, რის გამოც დღეს საერთო მინდორის ხსენებაც კი აღარ არის.

**ტ. ართმელაძე.**

# ბელგრადის უკანასკნელი დღეები

ნიშიდან მოსული ოფიციალი ცნობა, ვითომც სერბებს ბელგრადი თითქმის უომრად დაეთმოთ, ტყუილი გამოდგა. გაზეთები საშინელებას გადმოგვცემენ მის აღებაზე. ჯერ კიდევ წინა დღეებში ბელგრადში მღელვარება იყო. გამოჩნდა ახალი ნაციონალ-ლიბერალთა პარტია, რომელიც სოციალისტურ გაზეთების ფურცლებზე, კლუბებში თუ სხვა დაწესებულებათა შორის ძლიერ აგიტაციას ეწეოდნენ პაშიჩის წინააღმდეგ და ითხოვდნენ „მშვიდობიანი მოლაპარაკება გავმართოთ ცენტრალ იმპერიასთან (გერმანიასთან), რათა გადავარჩინოთ ის, რის გადარჩენაც შეიძლებაო“. მაგრამ პაშიჩი სასტიკად წინაღუდგა ასეთს რჩევას. სკუპშჩინის კრებაზე ნიშში მან სამ საათის განმავლობაში ილაპარაკა საზოგადო მდგომარეობის დასახასიათებლად. ბოლოს სიტყვა ასე დაათავა: ,,სერბეთის მომავალი იმაში მდგომარეობს, რომ ლამაზად მაინც მოკვდეს!“ მთელს დარბაზში გაისმა საზარელი კვნესა-ტირილი. ინგლისის ელჩი სერლეიპტონი და სამხედრო ატაშე გარისონი გადაეხვივნენ პაშიჩს და გადაჰკოცნეს იმ დროს, როდესაც „ნაციონალ-ლიბერალთა“ პარტიის წარმომადგენელი წამოდგა და დაიძახა: „სერბეთი განწირულია. ღმერთმა ჰქნას, რომ 50 წლის განმავლობაში მაინც წამოდგეს ზეზე„... ხმა მისი უდაბნოში მღაღადებლის ხმად დარჩა. მეორე დღეს ბელგრადს ზარბაზნები დაუშინეს. აღარ გადარჩა დაუნგრეველი. განმეორდა ლუვენის სამწუხარო ისტორია. დაინგრა სერბეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის შენობა. სამეფო სასახლე მიწასთან გასწორებულია, უკეთეს შემთხვევაში მოგვაგონებს პომპეის მდიდარ პატრიცთა შენობათა ნაშთს მიწის ძვრის შემდეგ. ასევე ნანგრევებად იქცა ყველა თვალსაჩინო შენობა... ბელგრადი აღარ არსებობს. (ბ. ვ.).

# დეპეშები

**პარიზი,** 19 ოქტომ. შამპანში გუშინ საღამოს ბრძოლა ხდებოდა ტამიურის რაიონში. ორივე მხარემ თავის პოზიციები დაიკავა. მთელი ღამის განმავლობაში საინტერესო არა მომხდარა რა.

ბალკანეთის ფრონტზე ბულგარებმა კრივოლაკისკენ უბრძოლველად დაიხიეს. რაბროვოსა და ბულგარეთის საზღვრის შუა საარტილერიო სროლა იყო. აქ ბულგარებმა მსხვილი კალიბრის ზარბაზნებიდან ისროლეს, თუმცა არავითარ შედეგისთვის არ მიუღწევიათ.

**კრალევო,** 16 ოქტომ. მტერმა ენერგიული იერიში მიიტანა ლეპენიცი და მორავის მარჯვენა ნაპირზე, მაგრამ უკუგდებულ იქმნა დიდის ზარალით. მთელ ფრონტის გასწვრივ მკვირცხლი ბრძოლაა.

**ჰავრი,** 19 ოქტ. მტერი ესროდა ნოორდშოსტეს და პიპეგელეს.

**ცეტინიე,** 19 ოქტ. მტერმა იერიში მიიტანა ვარდეს პოზიციებზე, მაგრამ შეაჩერეს. ბელობრადასთან ბრძოლა გრძელდება. დრინაზე საარტილერიო სროლაა.

**ლონდონი,** 20 ოქტ. ფრენჩი იუწყება: გუშინ 16 ოქტ. მტერმა სასტიკი სროლა ასტეხა იპრის აღმოსავლეთით. ბურუსის გამო ორთავე მხარე დანარჩენ ფრონტზე ნაკლებ მოქმედებას იჩენს: ორივე მხრით სანაღმო მუშაობაა.

**ცეტინიე.** 20 ოქტ. კონტრიერიში მივიტანეთ მტერზე ვიშეგრადის სამხრეთით. ასიოდე ტყვე წამოვიყვანეთ და 4 ზარბაზანიც დავლად დაგვრჩა.

**ბუქარესტი,** 17 ოქტომ. ფრანგთა საზოგადოების საექსპლოატაციო რკინის გზა დედეაგაჩ-ოქჩილის შუა ბულგარებმა სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადეს.

**ლონდონი,** 18 ოქტ. ინგლისელთა ხომალდი „ტოვარდი“ დაიღუპა წყალქვეშას მიერ. კომანდა გადარჩენილია.

**კატიძურგანი,** 19 ოქტ. გადიწვა ბამბის ქარხანა. ზარალი 86 ათასი მანეთისაა.

**პარიზი,** 17 ოქტ. ბულგარებმა [illegible] ჩვენს პოზიციებზე კრ[illegible] მარცხენა ნაპირზე, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ.

## გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die russ'schen Kriegsgefangengenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის. ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingneustrasse, 48,
A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe
pour les prisonniers qe guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ** შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія. Заказное.
>
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Croix Rouge.
>
> Agence des prisonniers de guerre
>
> Çeneve.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თელავისა დ წნორისკენ დილ. | 8 ს. |
| გურჯაანში მიდის ნაშუადღევის | 3 ს. |
| გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის | 4 ს. |
| თელავში მიდის ნაშუადღევის | 5 ს. |
| გურჯაანიდან წნორზე მიდის | 4 ს. |
| წნორზე მიდის | 5 ს. |

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისკენ:**

| | |
|---|---|
| დილის | 8 ს. |
| გურჯაანში მოდის | 10 ს. |
| წნორიდან თბილისკენ გამოდის დილის | 10 ს. |
| გურჯაანში მიდის | 10 ს. |
| გურჯაანიდან თბილისკენ გამოდის დილის | 10 ს. |

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | |
|---|---|
| № 3 ბაქოდან | 12 ს. 54 წ. |
| № 4 ბათომიდან | 5 ს. 55 წ. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. 41 წ. |
| № 10 ბათომიდან | 9 ს. 51 წ. |
| ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. |
| ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. |
| „ საგარ. | 10 ს. 28 წ. |

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| № 3 ბათომისკენ | 1 ს. 45 წ. |
| № 4 ბაქოსკენ | 7 ს. 3 წ. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. 8 წ. |
| № 9 ბათომისკენ | 8 ს. [illegible] |
| ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. |

**წიგნის მაღაზია**

**„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РѢЧЬ“).**

**ი. დ. კიკნაძისა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაიო ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ [...] დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—48)

**გამოცდილი მასწავლებელი ქალი**

**ხელმისაწვდომ ფასად ამზადებს** ქალ-ვაჟთ გიმნაზიებისა და საკომერციო, რეალ და საქალაქო სასწავლებლებისათვის, აგრეთვე თბილისის ქართულ ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებისათვის. შეიძლება ოჯახშიც მიწვევა.

**მისამართი:** კირპიჩნის შესახვევი, № 12. ოთახი კალანდაძისა. ნახვა შეიძლება ყოველ-დღე.

—7

**1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა**

**„განათლება“**

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და [...] დება ახლად გამოცემული წიგნი ა. ალდონისა **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ [...] პირელისა, **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვადასხვა [...] თული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифл. почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძეწველოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ჩოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ, მაილოვის-ძვით“**, [...] წველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „მეშო[...]“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და [...] გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსულ და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ელექტრომბეჭდავ სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.